# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  შაბათი, 7 სექტემბერი  1996 №90 (315)  ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას უპასუხებს შაშიაშვილი ახალკაცს?





როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ქუთაისის მერს თემურ შაშიაშვილს გაუგზავნა წერილი, რომლის შინაარსიც ასეთია:

„მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გაზეთებმა „სარბიელმა" და „11 X 11" გამოაქვეყნეს წერილები, რომლებშიც ციტირებულია შემდეგი ფრაზები: „ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ქართული ფეხბურთი სიკვდილამდე მიიყვანა. დღეს საქართველოში ფეხბურთი კორუმპირებულია..." აღნიშნული ფრაზების ავტორი, როგორც ამას ჟურნალისტები ამტკიცებენ, ბრძანდებით თქვენ. გთხოვთ დაგვიდასტუროთ ან უარყოთ ეს მტკიცება, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს სასამართლოში სარჩელის შეტანა შელახული პატივის და ღირსების დასაცავად".

დაველოდოთ პასუხს და მოვლენების განვითარებას...

## ბოსნიას უარი შევუთვალეთ

27 ნოემბერს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს სტუმრად უნდა ეთამაშოს ბოსნიას. აქამდე ბოსნიელები საშინაო მატჩებს გერმანიაში, ბერლინში ატარებდნენ. მიზეზი ყველასთვის ცხადია — ექს-იუგოსლავიის ამ ქვეყანაში მიმდინარე ომი. როგორც კი სიტუაცია ოდნავ დაწყნარდა, ბოსნიელებმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ფაქსი გამოაგზავნეს და ჩვენებს 27 ნოემბრის მატჩის გამართვა ბოსნიის ქალაქ ტუზლაში შესთავაზეს. თქვენ ხორვატიაში, ზაგრებში ჩამოფრინდით და ტუზლაში ავტობუსით წაგიყვანთო — ესაც დააყოლეს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ბოსნიელ კოლეგებს დასაბუთებული უარი შეუთვალა. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა გვითხრა: „ეს მატჩი ტარდება ფიბას ეგიდით. ამ ორგანიზაციას ბოსნიელთათვის შინ თამაშის ნება არ დაურთავს. ამდენად, ფიბა პასუხს არ აგებს ჩვენი გუნდის უსაფრთხოებაზე. მხოლოდ ბოსნიელთა სურვილი ჩვენთვის არაფერს ნიშნავს. მთავარია, ფიბამ გასცეს შესაბამისი განკარგულება. ასე რომ, 27 ნოემბერს ბოსნიას ან გერმანიაში, ან მათ მიერ დასახელებულ სხვა ქვეყანაში ვეთამაშებით."

სხვათა შორის, ბოსნიელებმა თავის დროზე ჩვენც გვითხრეს უარი. შარშანდელ 11 ოქტომბერს საქართველო — ბოსნიის მატჩი საქართველო — ბულგარეთის ფეხბურთელთა შეხვედრას ემთხვეოდა. ფიბას ნებართვით, ჩვენმა ფედერაციამ ბოსნიისას მატჩის ერთი დღით გადადება სთხოვა, მაგრამ ექს-იუგებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს.

## პოპოვი საავადმყოფოდან გაწერეს

რუსი მოცურავე, ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ პოპოვი გუშინ საავადმყოფოდან გამოუწერა. შეგახსენებთ, რომ ბარსელონისა და ატლანტის გმირი ამ რამდენიმე დღის წინ მოსკოვში საზამთროს გამყიდველმა მძიმედ დაჭრა. აღდგენითი პროცესი მოსალოდნელზე მალე წარიმართა და პრაქტიკულად ჯანმრთელი პოპოვიც შინ გაუშვეს. ოლიმპიური ჩემპიონი ვარჯიშს ნოემბერში ავსტრალიაში დაიწყებს.

## გუშინ

## „ტორპედომ" „როტორს" მოუგო

რუსეთის ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩში მოსკოვის „ტორპედომ" კამოლცევის 47-ე წუთზე გატანილი გოლით შინ „როტორი" დაამარცხა. დანარჩენი მატჩები: დინამო — ცსკა 2:3, როსტსელმაში — ლოკომოტივი (მოსკოვი) 0:2, სპარტაკი — ტექსტილშჩიკი 4:2, ურალმაში — ალანია 1:3.

საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-6 ტური. რენი — სტრასბური 2:0, ოსერი — კანი 2:0, ლილი — გინგამი 1:1, მეცი — ნანსი 1:0, ლე ავრი — ნანტი 3:1, ლიონი — მონპელიე 1:1, პარი სენ-ჟერმენი — მონაკო 0:0, ლანსი — კანი 0:0.

გერმანიის ჩემპიონატი. მე-5 ტური. მიონხენგლადბახი — ჰამბურგი 3:0, ფრაიბურგი — ფორტუნა 1:2.

მეორე ბუნდესლიგა. კაიზერსლაუტერნი — მაინცი 1:1, როტ ვაისი — ვოლფსბურგი 0:1.

თურქეთის ჩემპიონატში „ტრაბზონსპორმა" სტუმრად 5:1 მოუგო „ზეითინბურნუს".

ჰოლანდიის ჩემპიონატი. მე-5 ტური. გრონინგენი — ჰერენვენი 1:5

ბელგია. ბრიუგე — სტანდარდი 3:0

ინგლისის I დივიზიონი. ჰულვერჰემპტონი — ჩარლტონი 1:0



საქართველოს ჩემპიონატი

6 ტური

სამგურალი 2:1 ოდიში
გურია 1:0 სიონი
კახეთი 1:0 დილა
მერანი 3:1 ტორპედო
მარგვეთი 3:0 გორდა
კოლხეთი 6:2 სამტრედია
დღეს:
შევარდენი - ივერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:12 | 13 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 20:2 | 12 |
| ბათუმი | 4 | 4 | 0 | 0 | 17:0 | 12 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:8 | 12 |
| მარგვეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| მერანი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:9 | 9 |
| დილა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:2 | 9 |
| ოდიში | 6 | 2 | 1 | 3 | 8:5 | 7 |
| ტორპედო | 6 | 2 | 1 | 3 | 11:12 | 7 |
| სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:5 | 6 |
| გორდა | 6 | 2 | 0 | 4 | 13:18 | 6 |
| სამგურალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:14 | 6 |
| კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 3:19 | 6 |
| ივერია | 5 | 1 | 2 | 2 | 1:6 | 5 |
| სამტრედია | 6 | 1 | 0 | 5 | 4:17 | 3 |
| შევარდენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |

- ჩემპიონატის დებიუტანტმა „მერანმა" უკვე მესამე ტიტულოვანი მეტოქე იმსხვერპლა. შინაურ თამაშებში თბილისელებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს არაერთგზის პრიზიორები „კოლხეთი", „გორდა" და „ტორპედო".
- ამ ტურში მეორე დებიუტანტმა წყალტუბოს „სამგურალმაც" ივარგა და ზუგდიდის „ოდიშს" 2:1 მოუგო.
- ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „კახეთმა" შინ არც ამჯერად წააგო და ერთ-ერთი ლიდერი „დილა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა.
- „გორდამ" შარშან ბოლო ტურში წაგებისთვის შური ვერ იძია, დიდი ანგარიშითაც კი წააგო „მარგვეთთან".
- ფოთელმა ნუგზარ მიქაბერიძემ ჩემპიონატის მესამე ჰეთ-თრიქი შეასრულა და მისმა „კოლხეთმა" „სამტრედია" გაანადგურა.
- გუშინ „დინამომ" და „ბათუმმა" არ ითამაშეს და ამასობაში „სიონის" მომგები „გურია" გახდა ლიდერი.

# მშიერი «გურია» ლიდერია

**მერანი 3:1 ტორპედო**

**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, ზ. არჩვაძე, ჯიქიაიანი, კაკუბავა, გელა ქორიძე, კვარაცხელია (ბახტაძე 88), დანელია, ჭოლოკავა (კენჭიაშვილი 70), გოგიბერიშვილი, დავითაშვილი (ხორხელი 57)
**ტორპედო:** მამარდაშვილი (ხელაძე 46), შეყრილაძე (ვაჩიბერაძე 35), ვ. თურმანიძე, რუხაძე, სადილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, ი. ხაჭაპურიძე (შ. მუმლაძე 70), გ. მეგრელაძე, აშვეთია, შენგელია
1:0, 2:0 დავითაშვილი (10, 32), 2:1 ვაჩიბერაძე (49), 3:1 კვარაცხელია (70)
**გაფრთხილება:** კვეტენაძე
**მსაჯი:** შ. ხანიაშვილი (თბილისი)

ისე მოხდა, რომ პირველი ჯგუფის დებიუტანტ „მერანს“ ჩემპიონატის დასაწყისშივე მეტოქეებად წინა ჩემპიონატის ლიდერები ერგო. სტუმრად „მარგვეთი“, „სამტრედია“ და „ბათუმი“, რომლებთანაც ვერა გააწყო, შინ კი „კოლხეთი“. „გორდა“ და „ტორპედო“, სახლში დაუმარცხებლად არცერთი რომ არ გაუშვია. ბოლო გამარჯვებას „მერანმა“ დიდი ბრძოლის ფასად მიაღწია. მართალია, პირველ ტაიმს უკვე 2:0 იგებდა, მაგრამ ერთ მომენტში „ტორპედო“ საკმაოდ მიუახლოვდა მიზანს, შინ ქულა მაინც წაელო. თუმცა ეს მხოლოდ ერთ მომენტში. დანარჩენ დროს კი „მერანი“ დომინირებდა. არადა, თამაშის დასაწყისი სხვას მოასწავებდა: პირველივე წუთზე ქუთაისელთა მარცხენა ნახევარმცველმა ხაჭაპურიძემ ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან: საჯარიმოში ჩამოწოდებულ მაღალ ბურთს თავი სუსტად გაჰკრა და კეპით თავდამშვენებულმა (მზე იყო ერთობ) გუბაზ დოლიძემ პირდაპირ მისკენ წასული ბურთი იოლად მოიხელთა. მე-7 წუთზე დოლიძის კოლეგის, მამარდაშვილის ჯერი დადგა: იგი მაღალ ბურთზე კარგად კი გამოვიდა, მაგრამ უკვე დაჭერილი ხელიდან გაუვარდა და ისევ დასაჭერი გაუხდა. ასეთი „თავდაჯერებით“ მამარდაშვილმა მერეც გამოიჩინა თავი. ამაზე ქვემოთ.

თამაშის პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომელი გუნდი რა სქემით ითამაშებდა. მოულოდნელი და ზედმეტად გაბედული უფრო „ტორპედოს“ განლაგებას ეთქმოდა. სტუმრებმა გარისკეს, მასპინძელთა 4-4-2-ს 3-4-3 დაუპირისპირეს და ამ გადაწყვეტილების შედეგი ნახევარ საათშივე იხილეს. უკეთ რომ ვთქვათ, „ტორპედოს“ სამი გამოკვეთილი და ერთი საყრდენად გამწესებული მცველი ჰყავდა, მათ წინ გამთამაშებელი და თავდამსხმელთა უკან მოთამაშე კიდევ ერთი ფეხბურთელი, ორიც ფლანგებზე და ორიც გამოკვეთილად თავდასხმაში. თავიდანვე მხოლოდ „ტორპედოს“ გამთამაშებელი მოქმედებდა აქტიურად. კვეტენაძისთვის მეტოქის გვერდის ავლა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ რაკი ფორვარდები ცუდად ეხსნებოდნენ და თავს არ სთავაზობდნენ, შეტევათა განვითარების შესაძლებლობა იკარგებოდა.

სხვაგვარი თამაშით დაგვამახსოვრდა „მერანი“. მისი ნახევარმცველები ისე სწრაფად გადადიოდნენ დაცვიდან შეტევაზე, რომ მეტოქეს შეცდომათა დაშვებას აიძულებდნენ. თავდამსხმელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნებისმიერ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩენილ მერანელს ლამის ნახევარი გუნდი სწრაფადვე წამოეწეოდა და დახმარებას სთავაზობდა. ამით შეტევის გაგრძელების არაერთი ვარიანტი იქმნებოდა, არჩევანი გამთამაშებელ გოგიბერიშვილზეღა იყო, თავისი ტექნიკურობითა და საზრიანობით მალევე რომ გაიბრწყინა.

ზემოთქმულის მიუხედავად, „მერანის“ ორი გოლი მაინც ერთმა დავითაშვილმა გაიტანა. ორივე შემთხვევაში თანაგუნდელებმაც და ბურთმაც სწორედ „აბრეზა“ მოძებნა, მანაც გატანა არ დააზანა და თავის გუნდს ის ორბურთიანი ფორა შეუქმნა, საბოლოოდ მასპინძლებს რომ გაამარჯვებინა.

მეათე წუთზე მარცხენა ფლანგიდან მეკარესთან პირისპირ გასულმა დავითაშვილმა კარისკენ დაარტყა, ასხლეტილი ბურთი საჯარიმოს ცენტრისკენ გადმოვარდა, მეკარე მოსაგერიებლად კი წაეპოტინა, მაგრამ ვიდრე სტუმართა მცველები სიტუაციაში გაერკვეოდნენ, მასთან ისევ „აბრეზა“ გაჩნდა და ანგარიში გახსნა. 22 წუთში ამან ისევ მარცხენა ფლანგიდან შეუტია, შეყრილაძეს გაექცა, გამოსულ მეკარესაც გასცდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

ერთიც, რაც აქამდე შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ „ტორპედო“ პერსონალური მეურვეობის ხარჯზე ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, ვერაფერში წაადგა. „ტორპედოს“ მცველები ლამის სახლშიც გაჰყოლოდნენ სწრაფად ადგილმონაცვლე „თავის კაცებს“, მაგრამ ამდენ მოძრაობას, ერთი რომ, ვერ გაუძლეს, მეორეც, ალღო ვერ აუღეს. რაიმის შეცვლა აუცილებელი იყო და „ტორპედოს“ მწვრთნელმა არ დააყოვნა. მეორე გოლის გაშვებიდან სამ წუთში შეყრილაძის ნაცვლად ვაჩიბერაძე გამოიყვანა, რამაც მისი გუნდის განლაგებაში გვარიანი გადაადგილებანი გამოიწვია. მარჯვენა მცველად, ერთი პირობა, ჯინჭარაძემ ჩაიწია, მის ფლანგზე ნახევარდაცვაში მეგრელაძე გადავიდა, ვაჩიბერაძე თავდასხმაში აშვეთიას შეეწყვილა, ლიბერომ და საყრდენმა თურმანიძე — რუხაძემ კი ადგილები გაცვალეს. თურმანიძის წინ წასვლით სტუმრებმა იხეირეს. ამან თამაში დააწყო, დაალაგა, ართმევაშიც პირველი და უბადლო იყო და შეტევათა წამოწყებაშიც. შესვენებაზე სტუმრებმა მეკარეც შეცვალეს, თუმც მოგვიანებით კარიდან ბურთის გამოტანა ხელაძესაც მოუხდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „ტორპედომ“ საჭირო გოლი რომ გაიტანა. ეს გოლი მარტო სტუმრებს კი არა, საერთოდ თამაშს სჭირდებოდა და აკი სანახაობაც უფრო საინტერესო გახდა.

სტუმრებს გატანილმა გოლმა ფრთები შეასხა. მასპინძლებს ერთმანეთის მიყოლებით მოუხდათ აშვეთიას, მეგრელაძის და კვეტენაძის შეტევების მოგერიება. თუმცა, „მერანს“ ვაჩიბერაძის გოლისას დაშვებული შეცდომა აღარ გაუმეორებია და საერთოდაც ისე დაკვირვებულად და ჭკვიანურად ათამაშდა, რომ ჯილდოდ ის გოლიც მიიღო, სული რომ საბოლოოდ მოათქმევინა. მესამე გაშვებულმა გოლმა „ტორპედოს“ შემართება მიანავლა და ბოლო 15 წუთი ერთობ უინტერესო სანახავი გახდა. გოლში ლომის წილი მარჯვენა ნახევარმცველმა ჭოლოკავამ დაიდო. საჯარიმოში შეჭრილმა ჯერ მეკარე გაიტყუა მარჯვნივ, მერე კი მარცხნივ ჩააწოდა და კვარაცხელიას ცარიელ კრში გაატანინა. კვარაცხელიას მერეც მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ხელაძემ ჯერ არჩვაძის დარტყმა მოიგერია, მერე კი კვარაცხელიას მხარეს ჩაკეტა კუთხე და ამანაც ბურთი ბადეს გარედან მოარტყა...

მწვრთნელთა კომენტარი:

**თემურ მაზარაძე:** ძალიან გაგვიჭირდა მეორე ტაიმის დასაწყისში, კურიოზული გოლი გავიდა და ამან იმოქმედა. „ტორპედო“ იბრძოდა, ძნელი იყო მისი წინააღმდეგობის გადალახვა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება თამაშს, პირველი ნახევარი ჩვენმა გუნდმა ღირსეულად ჩაატარა.

**— გოლის გაშვების შემდეგ დავითაშვილი ხორხელით შეცვალეთ...**

— იმიტომ, რომ ცენტრში ბურთი დაეჭირა. ვიცოდით, ხორხელი მოუმზადებელია, მაგრამ სიტუაციამ გვაიძულა, ასე მოვქცეულიყავით. გავრისკეთ და გაგვიმართლა.

**— თქვენი მოთამაშეები ძალიან მწვავედ და კოლექტიურად უტევდნენ, აზრიანად მოქმედებენ. ნუთუ ისეთი ბიჭების შეკრება შესძელით, სირბილის გარდა სხვა რამეც რომ იციან?**

— თანამედროვე ფეხბურთში სათამაშო დისციპლინის გარეშე წარმატებაზე ფიქრი გამორიცხულია. როგორ ვთამაშობთ, ამას მაყურებელი თავად განსჯის. დღეს იყო სწორი ფეხბურთის ფრაგმენტები, კოლექტიური თამაში.

**ვახტანგ ბზიკაძე**



დუბლის ავტორი სულიკო დავითაშვილი

**გურია 1:0 სიონი**

**გურია:** ვოლკოვი, თ. ლურწკაია, თევზაძე, ცერცვაძე, ბუცურეიშვილი (გვარჯალაძე 14), ყოლბაია, ფაცურია, ხოსროშვილი (ლ. კორღალიძე 89), ო. კორღალიძე, დ. გოდერძიშვილი, ბერიძე (კოროტკოვი 46)
**სიონი:** ბაბუაძე, კ. გოდერძიშვილი, ყაველაშვილი, ტარტარაშვილი (მეფარიშვილი 63), გ. ჩომახიძე, ქოიავა (ყუფიანი 46), ქორთუა, შაყიაშვილი, ვ. სამხარაძე (მეტრეველი 60), ჯაგიდისი, გაბისონია
1:0 ხოსროშვილი (10)
**გაფრთხილება:** გვარჯალაძე, კოროტკოვი, ყოლბაია, მეფარიშვილი, ჯაგიდისი
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

დრო იყო, ლანჩხუთი სამართლიანად ამაყობდა გუნდითაც და სტადიონითაც, ახლა კი ორივეს შემხედვარეს გული მოგიკვდება. მშიერი ფეხბურთელები ძლივს მოძრაობენ მინდორზე, სტადიონი კი კარგა ხანია სარემონტოა. „გურიას“ ქრონიკულ უფულობას მერამდენე წელიწადია, საშველი არ ადგება, ბიჭები კი მაინც თამაშობენ და... ლიდერთა შორის არიან. როდემდე ეყოფათ ჯანი და ენთუზიაზმი, არ ვიცი. ლანჩხუთელებს თურმე თამაშის წინ იმის ფულიც არ ჰქონიათ, რომ რამდენიმე ავადმყოფი ფეხბურთელისთვის სიცხის წამალი ეყიდათ და ამიტომაც ამ მატჩზე „გურია“ სახეშეცვლილი გამოვიდა. შესვენებაზე თვალი მოვკარი სკამზე ჩამომჯდარ მამუკა ბუცურეიშვილს, რომელიც მატჩის მე-14 წუთზე დაშავდა. მივუახლოვდი და ის-ის იყო, უნდა მეკითხა, ფეხი როგორ გაქვს-მეთქი, რომ სიტყვები პირზე შემახმა — მამუკას საშინლად გასიებული კოჭი, რაკიღა „გურიას“ არც წამალი გააჩნდა და არც გასაყინი საშუალება, ცივი წყლით სავსე ქანგიან ვედროში ჩაეყო. კოჭი ისეთ დღეში იყო, ვეჭვობ, მოტეხილიც კი იყო.

გურულებისთვის გამარჯვების მომტანი გოლი მატჩის დასაწყისშივე გავიდა. ლანჩხუთელებმა საიერიშოდ დაძრულ მეტოქეს მინდვრის შუაგულში ჩამოართვეს ბურთი, თავად შეუტიეს, მარჯვენა ფრთიდან ყოლბაიამ ჩააწოდა, ბურთს ხოსროშვილი დახვდა თავით და ბოლნისელთა კარში მიუჩინა ადგილი. პირველ ტაიმში ბოლნისელებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ შეტევა ხეირიანად ვერ დააბოლოვეს. ყველაზე რეალური მომენტი კი სტუმრებმა მეორე ტაიმის დასაწყისში შექმნეს. კონტრშეტევაზე ჯაგიდისმა ზუსტი პასით გაბისონია გაიყვანა გარღვევაზე, ბოლნისელთა თავდამსხმელი მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, თევზაძე და მეკარე ვოლკოვი მისკენ ერთდროულად გამოემართნენ... ვოლკოვი აშკარად წინდაუხედავად მოიქცა, კარი ცარიელი იყო, მაგრამ: „დავინახე, რომ მეკარემ კარი დატოვა და პირველი, რაც მოვიფიქრე, თავზე გადავუგდებ-მეთქი, მაგრამ სანამ ბურთი დასარტყმელად გავისწორე, თევზაძემ დამასწრო და ფეხი წამიკრა“ — მითხრა მატჩის შემდეგ გაბისონიამ. სიტყვამ მოიტანა და, ყოფილი ოჩამჩირელი ფორვარდი ყველაზე სახიფათო იყო სტუმართაგან. ტყუილად როდი გაჰკიოდნენ „გურიას“ მწვრთნელთა სკამიდან — სხვებს თავი გაანებეთ, გაბისონიას მიხედეთო. ეგ იყო, ბოლნისელთა შუახაზი პასებით ისე ვერ ამარაგებდა სწრაფ გაბისონიას, როგორც საჭირო იყო, თორემ მისი ყოველი იერიში მართლაც აწიოკებდა ლანჩხუთელთა დაცვას.

ზემოხსენებული სახიფათო მომენტი რომ განმუხტეს, მასპინძლებმა თავად შეუტიეს სტუმართა კარს, და ხიფათი ხიფათზე დაატეხეს. ოთარ კორღალიძემ რეტი დაასხა ბოლნისელთა მცველებს საჯარიმოს წინ და იმათაც რაღა ექნათ — მოცელეს. ლანჩხუთელთა შტატიანი საჯარიმოების დამრტყმელი თევზაძე ბურთთან კი მივიდა, მაგრამ კორღალიძემ თავად დაარტყა მოჭრილად, ბურთი რკალად გადაევლო კედელს და მარცხენა ძელს მოხვდა, თუმცა ისევ ბოლნისელთა მცველებმა ივარგეს. მერე თავად კორღალიძემ გააცუდა საბოლოო დარტყმა, როცა მარჯვნიდან ჩამოწოდებულ ჯარიმას ცაცია ძლიერად ვერ დაუხვედრა. ათ წუთში მარჯვენა კუთხურთან იხევ კორღალიძემ მოჰპარა ბურთი მცველებს, საჯარიმოშიც სახიფათოდ ჩააგდო, მაგრამ გურულებმა კვლავ ვერ იხეირეს. მომდევნო შეტევაც კორღალიძემ დაიწყო, კოროტკოვმა საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ ფაცურიამ თავით ბაბუაძეს პირდაპირ ხელებში „შეაჩეჩა“. ერთხელაც გოლის გატანას თითქმის აღარაფერი უკლდა, მაგრამ ყოლბაიას დარტყმას ყაველაშვილი ჩაუწვა. მატჩის მიწურული, როგორც 1:0-ზე იცის ხოლმე, დაძაბული და ქინიანი იყო, მაგრამ გიგლა იმნაძე გონივრულად მოიქცა — მინდორზე კორღალიძე-უმცროსი შემოუშვა, რამდენიმე წამი მოიგო და ვნებათაღელვაც დაცხრა. ასე აინაცვლა მშიერმა „გურიამ“ საქართველოს მერვე ჩემპიონატის მეექვსე ტურში პირველ ადგილზე.

მატჩის მერე, როგორც მითხრეს, გიგლა იმნაძე გურიის გუბერნატორს მიხეილ ჭკუასელს დაუბარებია და ამიტომ გამოველაპარაკე გუნდის უფროსს, გულსუნდა დუნდუას, რომელმაც „გურიას“ ფინანსური კატასტროფა დამიდასტურა: „მატჩის წინ კაკულაძეს, ქიქავას, განიევს და ბერიძეს სიცხე ჰქონდათ. ჩვენ კი წამლის საყიდელი ფულიც არ გვქონდა, ბიჭებისთვის რომ სიცხე დაგვეგდო. პირველი სამი ამიტომაც ვერ გამოვიყვანეთ, ბერიძემ კი მხოლოდ ერთი ტაიმი გაძლო. რაც ჩემპიონატი დაიწყო, კაპიკი არ აგვიღია. არადა, ცუდი გუნდი ნამდვილად არ გვყავს. ახლა ისეა საქმე, ეს პირველ ადგილზე მყოფი გუნდი შეიძლება დაიშალოს კიდეც. ბიჭებს ამ თამაშზეც არ უნდოდათ გამოსვლა, მაგრამ რისვაი-ვაგლახით დავიყოლიეთ. ბუცურეიშვილიც, თავად ნახეთ, რა დღეშია. მოკლედ, დღესვე თუ არ მოგვხედეს, ჩათვალეთ, რომ „გურია“ აღარ იარსებებს...“

გუნდის დაშლის საფრთხე მართლაც რეალურია. არადა, თუ სხვა რაიონებმა გამონახეს სახსრები, რა გახდა ბოლოსდაბოლოს „გურიასთვის“ იგივე? ინერციითღა არსებობს გუნდი, რომელსაც საფუძველი თავად ქვეყნის პრეზიდენტის ძმამ, ევგრაფი შევარდნაძემ ჩაუყარა. ეს კაცი დღესაც ლეგენდაა ლანჩხუთში და ნუთუ აღარ გამოჩნდება მისი საქმის გამგრძელებელი?

**მამუკა კვარაცხელია ლანჩხუთიდან**



**37 წლის ოთარ კორღალიძე კვლავაც ჩინებულ ფორმაშია, იშვიათად გამოირჩევა გუნდში და არა მარტო ფეხბურთის ცოდნით. ოთარი მუდამ იმ ადგილზე ჩნდება, სადაც გუნდს უჭირს, თამაშის სადავეები მუდამ ხელთ უპყრია, ტემპსაც გუნდისთვის სასურველად ცვლის, როცა საჭიროა ბურთსაც გაიგორებს, ხანაც შეტევებს ალაგებს, არც შავ სამუშაოს თაკილობს და „პადკატებშიც“ ხშირად წვება. აბა რა ჰქნას, სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ლევანი ისე ქომაგობს, შვილთან თავს ხომ არ შეირცხვენს. თანაც საღამოს სახლში სათქმელი ექნება, აი, შვილო, ასე უნდა ითამაშოო...**

**კახეთი 1:0 დილა**

**კახეთი:** ბეწუკელი, ბოჭორიშვილი, ათუაშვილი, კ. წიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, გ. ლობჟანიძე (ჭიჭუა 64), ჯაშიაშვილი (ლვინიაშვილი 46), შონია, ბაბულაიძე, მამისაშვილი (ტარულაშვილი 80)
**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, გ. ლომიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, რევაზიშვილი (ფეხუაშვილი 70), წკრიალაშვილი (თაყაძე 63), კაიდარაშვილი (ტაბატაძე 67)
1:0 ბაბულაიძე (84)
**გაფრთხილება:** ბაბულაიძე
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

თამაშის წინ ცოტა ვინმე თუ იტყოდა, თელაველები მოიგებენო. ამის საბაბს არაერთი გარემოება იძლეოდა, უმთავრესად კი ის, რომ მასპინძლებმა ჩემპიონატი მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ დაიწყეს. ამას დავუმატოთ ბლომად სხვა პრობლემაც, რომელნიც „კახეთს“ სათამაშოს გარდა სხვაგვარ თავსატეხსაც უჩენენ. „დილას“ საქმე კი პირიქით, ალმა მიუდის და მეექვსე ტურამდე წაუგებელი სერია, ფინანსურად მოძლიერება და სხვა უპირატესობანი მის მხარეზე იყო. ალბათ სწორედ ამან განაპირობა სტუმართა ის თავდაჯერება და მეტოქის არად ჩაგდება, რომელმაც საბოლოოდ „დილას“ მარცხი აწვნია.

სანახავად ულიმღამო, ნელ თამაშს უამრავი ტექნიკური წუნიც ახლდა და ამ ყოველივეს ყურება ზოგჯერ აუტანელიც იყო. თითქმის ყველა შეტევა, გინდა იქით, გინდა აქეთ, საჯარიმოს ხაზთან „კვდებოდა“. მოკლედ, გუნდები კი არ თამაშობდნენ, არამედ წვალობდნენ. არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ამის მიზეზს მოთამაშეთ უხეირო მოედანიც „აძლევდა“. საფეხბურთოს მიმსგავსებული პირველი მომენტი მასპინძლებმა შექმნეს: მე-12 წუთზე ჯაშიაშვილმა სახიფათოდ ჩააწოდა, შონიამ ეფექტურად დაარტყა, მაგრამ კარს გვარიანად ააცილა. ამის შემდეგ სტუმრებიც გამოფხიზლდნენ, რევაზიშვილმა ზედიზედ ორი რეიდიც განახორციელა, მაგრამ ათუაშვილმა ორივე შეაჩერა. პირველ ნახევარში მასპინძელი მცველები მთლად საიმედოდ ვერ ირჯებოდნენ და ისე ჩანდა, რომ „კახეთი“ „დილას“ ვერ გაუძლებდა. 25-ე წუთზე ციქიშვილის ჯარიმიდან დარტყმული მეკარე ბეწუკელმა აიღო. წუთის შემდეგ წკრიალაშვილის გარღვევა და მასპინძელთათვის ავისმომასწავლებელი პასი საჯარიმოში, მაგრამ კახელთა ბედად ბურთი კაიდარაშვილსაც ასცდა და ხაჭაპურიძესაც. მასპინძელთაგან ორად ორ მოთამაშეზე — შალამბერიძესა და შონიაზე თუ ითქმოდა, ესენი კი იბრძვიანო. კახეთის დაცვამ, ამ გორელ ახალგაზრდებს რა სდევსო და, ხელოვნურ თამაშგარეს მიმართა. ამან გაამართლა კიდეც და გორელები სულ ცოტა 5-6 ჯერ მაინც დარჩნენ მშრალზე.

პირველი ტაიმი რომ 0:0 დამთავრდა, ადგილობრივნი ამითაც კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ მათმა გუნდმა ცალკე შინაურთა და ცალკე უცხოთა გასაკვირად სწორედ მაშინ მოუმატა, როცა ყველას ეგონა, აწი კი მთლად გაჩერდებიანო. ამ მხრივ შონია იყო გამოსარჩევი.

კახელთა მეცხრე ნომერი ქართლელთა დაცვას წარამარა აწუხებდა, ამან მისი პარტნიორებიც გამოაფხიზლა და მასპინძლებმა გორელთა საჯარიმოში სტუმრობას უხშირეს. ეს კი ასე იყო, მაგრამ კახელთა თავგამოდება მათმა მეკარემ კინაღამ წყალს გაატანა: ძნელი ასახსნელი იყო, რამ გააშვებინა ბეწუკელს ხელიდან უიოლესი ბურთი. მის ბედად, ამას არც ციცქიშვილი ელოდა, წამით დააგვიანა, მერე კი ველარ იხეირა. შემდეგ ის იყო, რომ სტუმარი წკრიალაშვილი დაშავდა და ადგილი ახალგაზრდა თაყაძეს დაუთმო, ამას მწვრთნელებმა რატომღაც რევაზიშვილისა და კაიდარაშვილის გამოცვლაც დაამატეს და... გორელთა შეტევები ხომ მთლად მოიშალა, რევაზიშვილის არყოფნამ დაცვაც ერთობ აურია სტუმრებს. ჰოდა, რახან „დილა“ ვეღარ უტევდა, ათუაშვილმაც მოიცალა შეტევებისთვის. დასრულებას ბევრი აღარ უკლდა, როცა მასპინძლებმა ზედიზედ ორჯერ სახიფათოდ შეუტიეს. ორივეჯერ შონია გაისარჯა. პირველად სტუმართა მეკარემ აულო სახიფათოდ ჩაწოდებული, მეორედ კი ბურთი მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს. სწორედ ამ კუთხურს მოჰყვა ის ერთადერთი გოლი, რომელმაც „კახეთს“ გაამარჯვებინა: შონიამ ჩამოაწოდა, ათუაშვილი ყველაზე მაღლა ახტა, თავით ბურთი კარის წინ უპატრონოდ დატოვებულ ბაბულაიძეს დაუგდო, ამას კი არ გასჭირვებია გოლის გატანა. „დილას“ გასაქვითად მხოლოდ ექვსი წუთი რჩებოდა, მაგრამ მასპინძლებმა თავდადებით იბრძოლეს და სტუმრებს თავიანთი მეკარე არ შეაწუხებინეს.

ბოლოს ერთზეც გვინდა ვთქვათ. თელავში ურიგო სტადიონი ნამდვილად არ არის, ირგვლივ სიმწვანე და სასიამოვნო გარემოა, მაგრამ ეგ არის, სანამ დაინგრეოდეს, მანამდე უნდა მოვლა-მიხედვა. და კიდევ:

— ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ამ თამაშს. „დილა“ კარგი გუნდია [illegible]

**მამუკა ქვანტალიანი თელავიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოლხეთი 6:2 სამტრედია

**კოლხეთი:** გოგუა, მიქაბერიძე, კაკოჩია, ხუჯაძე (ამბიძე 46), ქობულაძე, ღლონტი (გიორგაძე 46), ქუნთელია, გახოკიძე, სოლოღაშვილი, დარასელია, ყულეჯიშვილი (ზულუხია 75)
**სამტრედია:** სტურუა, ანჯაფარიძე, ხახიშვილი (ბერიშვილი 46), ხვადაგიანი, გოგოლაძე, მჭედლიშვილი (ლორია 77), შ. ჩომახიძე, დარსაძე (ნოდია 77), გვასალია, ფანჩულაძე, პეტრიაშვილი
1:0, 2:0 მიქაბერიძე (27, 38), 3:0 სოლოღაშვილი (40), 4:0 ყულეჯიშვილი (43), 5:0 დარასელია (65), 6:0 მიქაბერიძე (72), 6:1 ბერიშვილი (81 პ), 6:2 ფანჩულაძე (83)
**გაფრთხილება:** გვასალია, გახოკიძე, მჭედლიშვილი
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ცუდად არის საქმე... ნამდვილად ცუდად. წინა ორი ჩემპიონატის ფავორიტი თვალსა და ხელს შუა გვიჩანაკლდება. შეუძლებელია ამის აღნიშვნა გულისტკივილის გარეშე. საქართველო არც ისე მდიდარია ნორმალური დონის გუნდებით, რომ „სამტრედიის" დასუსტება ჩვენი ფეხბურთისთვის უმნიშვნელო ამბავი იყოს. არადა, ფაქტია — ექვსი შეხვედრიდან გუნდმა მხოლოდ „მერანთან" მოახერხა 3 ქულის აღება, ისიც შინ და, თანაც დიდი გაჭირვებით. მე „სამტრედიულ რექვიემს" სულაც არ ვწერ. იმედია, აქამდე არ მივა საქმე, მაგრამ სამტრედიელთა გასაჭირი განა ვინმეს, თუნდაც მის ყოფილ კონკურენტებს, დატოვებს გულგრილს? ღმერთმა ქნას, რომ ჩემი შეშფოთება დროებითი იყოს, მაგრამ არის კიდევ კი იმედი? ფოთის შეხვედრის დასაწყისმა ეს იმედი გააღვივა, რადგან „მარგვეთთან" წყალტუბოში საშინაოდ წოდებული შეხვედრის შემდეგ „კოლხეთთან" სამტრედიელებმა თამაში ძალზედ დამაჯერებლად, შესამჩნევი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით დაიწყეს. გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ბადრი ქორიძემ რამდენიმე მოთამაშეს ფუნქციები შეუცვალა და მასპინძელთა წინააღმდეგ 4-5-1 ტაქტიკა არჩია. პირველ ტურებში საყრდენ ნახევარმცველად მოვლენილი მჭედლიშვილი ჩვეულ, უკანა მცველის პოზიციაზე დასწია, კაპიტანი ფანჩულიძე კი — ცენტრალურ ნახევარმცველად. აქ ფანჩულიძეს გოგოლაძე ეხმარებოდა, ხოლო პეტრიაშვილმა წინ გადაინაცვლა და ერთადერთ წმინდა თავდამსხმელს გვასალიას ეხმარებოდა. რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვეულ ლევან ბერიშვილს, იგი თამაშის დღეს ჩამოვიდა ფოთში და კიევში უკრაინელებთან შეხვედრის შემდეგ მგზავ-



მიქაბერიძემ ჰეთ-თრიქი გააკეთა

რობით დაღლილს მწვრთნელმა პირველ ტაიმში დასვენების საშუალება მისცა. მასპინძელთა გუნდის აგრეთვე უკრაინიდან ჩამოსული ფეხბურთელები — ხუჯაძე და გახოკიძე გადაღლილნი იყვნენ, მაგრამ „კოლხეთის" მწვრთნელმა სოსო ფილიამ მათ ასეთი ფუფუნების საშუალება არ მისცა. აღსანიშნავია, რომ გადაღლილობის გამო მათ სანახევროდაც ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები.

ახლა უშუალოდ თამაშის შესახებ. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, იგი სამტრედიელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მასპინძელთა დუნე და ინდივიდუალიზმით დამძიმებულ თამაშს მათ სწრაფი, ელვისებური კონტრშეტევები და მჭიდრო თამაში დაუპირისპირეს. პირველივე წუთზე გვასალიას პასით მეკარესთან ეულად დარჩენილმა პეტრიაშვილმა აშკარა მომენტი გააფუჭა. უნდა აღინიშნოს სამტრედიელი ედიკ გვასალიას გააზრებული და ნაყოფიერი მოქმედება. მისი ცოცხალი თამაშის წყალობით ფოთელთა კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. გვასალია და მისი პარტნიორები უფრო ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ, პირველ 20 წუთში სულ მცირე სამი გოლს გაიტანდნენ. როგორც გითხარით, ჯერ პეტრიაშვილმა ვერ მოახერხა გატანა, დანარჩენ ორში კი თავად გვასალიამ ვერ იმარჯვა. უზუსტობისთვის სტუმრები სამაგალითოდ დაისაჯნენ. პირველი ტაიმის შუაგულიდან ინიციატივა ფოთელებმა იგდეს ხელთ და უპირატესობას ბოლომდე ფლობდნენ. ეგაა, რომ თავიდან, სტუმართა მსგავსად, სიზუსტით ვერც ისინი დაიკვეხნიდნენ. გარკვეულწილად სამტრედიელთა მეკარე სტურუამ შეუშალა მათ ხელი — უამრავი საგოლე მომენტიდან „მხოლოდ" ექვსი გაუშვა. ყოველ შემთხვევაში, სტურუას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის ამ მარცხში. ერთი სიტყვით, კოლხებმა შეძლეს მობილიზება, კოლექტიურად ითამაშეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მათ პირველივე ტაიმში მოითავეს საქმე, როცა ოთხი გოლი გაუტანეს სტუმრებს.

27-ე წუთზე ხუჯაძე-ყულეჯიშვილი-მიქაბერიძის კომბინაცია გოლით დასრულდა. იქვე დარასელიამ ვერ გაიტანა — სტურუამ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და ბურთი დაამიწა.

თუმცა, არც სამტრედიელები იყვნენ მთლად გულხელდაკრეფილნი: ერთ-ერთი მათი შეტევა ხახიშვილის საჯარიმოში შეჭრითა და მისი წაქცევით დასრულდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ პენალტი იყო. მსაჯი თამაზ ლორთქიფანიძე თავიდან შეყოყმანდა. როგორც სამტრედიელები ამბობენ, ლორთქიფანიძე უკვე ჩასტვენას აპირებდა, მაგრამ მოთამაშე საჯარიმოში რომ დაინახა წაქცეული, გადაიფიქრა. ძნელი სათქმელია, სინამდვილეში რა გაიფიქრა მსაჯმა, მაგრამ მომენტი ნამდვილად ჰგავდა პენალტს. მსაჯი ვახსენეთ და ბარემ ვთქვათ — სამი ყვითელი ბარათი არბიტრმა პირადად მასთან შეკამათებისთვის ააფრიალა.

38-ე წუთზე კვლავ ვეტერანმა მიქაბერიძემ გამოიჩინა თავი — მცველს ბურთი ფეხებშუა გაუტარა და გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა. მიქაბერიძის გოლს მალე მესამე და მეოთხე მოჰყვა. განსაკუთრებით ლამაზი სოლოღაშვილის გატანილი იყო. მოედნის ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ გაწეული ბურთით კარისკენ დაიძრა. აქ სამტრედიელები მოტყუვდნენ, მათ ეგონათ, რომ გადაცემას აპირებდა, მან კი ამ დროს მოულოდნელად, დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა და ბურთი მეკარის ახლო კუთხის ცხრიანში მოათავსა.

დაკვირვებული გულშემატკივარი შენიშნავდა, რომ ფოთელებს რამდენიმე კომბინაცია დამუშავებული ჰქონდათ. ბურთი კოლხებს ცენტრიდან ფლანგზე გადაჰქონდათ, არ აყოვნებდნენ და უმალ ჩაჰკიდებდნენ საჯარიმოში, სადაც ხშირად რომელიმე თავდამსხმელი მარტო რჩებოდა. მეორე ტაიმშიც იგივე გაითამაშეს მასპინძლებმა: სოლოღაშვილმა მარცხენა ფლანგიდან ჩაჰკიდა, იქ მცველი ბურთს ვერ შეწვდა, დარასელიამ მკერდზე გაიჩერა და უძლიერესი დარტყმით მე-5 გოლი გაიტანა. ამას მალე მიქაბერიძემ თავისი მესამე გოლი მიაყოლა და „ჰეთ-თრიქი" შეასრულა. შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა სამარცხვინო ანგარიშის ოდნავ შემცირება შეძლეს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ წაგებით სამტრედიელებმა სატურნირო მდგომარეობა მეტად გაიუარესეს.

**სოსო ფილია:** პირველ წუთებში ჩვენს გუნდში სათამაშო დისციპლინა მოიკოჭლებდა. ამას სტუმართა უპირატესობა მოჰყვა. თუმცა შემდეგ ბიჭები დამშვიდნენ და თამაშიც აეწყო. 6:0-ის შემდეგ კვლავ განმეორდა შეცდომები, მატჩის დასაწყისში რომ გვქონდა, კვლავ ჭარბობდა ინდივიდუალიზმი, მაგრამ დიდი ანგარიშით რომ იგებ, მაინც კმაყოფილი რჩები.

**ბადრი ქორიძე:** ფაქტია, რომ პირველი ტაიმი კარგად დავიწყეთ და მასპინძლებს ვაჯობეთ კიდეც, მაგრამ უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით მაინც დაგვჯაბნეს. მართალია, თამაში წავაგეთ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ხარვეზებს, რაშიც უპირველესად „ფიზიკას" ვგულისხმობ, გამოვასწორებთ. ერთიც უნდა აღვნიშნო — დღევანდელ შეხვედრას რომ ვერ მოვიგებდით, ეს კარგად ჩანდა, მაგრამ არაობიექტურმა მსაჯობამაც თავისი სიტყვა თქვა: მსაჯმა ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. თუმცა ვიმეორებ, წაგებას მსაჯს არ ვაბრალებ.

**მერაბ მამულაშვილი** ფოთიდან

## მარგვეთი 3:0 გორდა

**მარგვეთი:** გვენცაძე (ბოჭორიშვილი 59), მოლოდინიძე, ქვანია (ლანჩავა 46), გაბრიჭიძე, გ. თურმანიძე, კაციაშვილი, სულაძე (ფანცხავა 56), გეწაძე, ჯ. წიკლაური, უკლება, ქებაძე
**გორდა:** კორომზინაძე, ი. ხუჯაძე (მურჯიკნელი 30), გაბელაია, პატარიძე, სახვაძე (ბექაური 53), რეხვიაშვილი, მეფაძე, არსოშვილი, ა. ჯელაძე, კედელაშვილი (ლაბაძე 53), კ. ალადაშვილი
1:0 ქებაძე (18), 2:0 უკლება (21 პ), 3:0 ქებაძე (50)
**გაფრთხილება:** რეხვიაშვილი, კაციაშვილი
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)



# ვინ?

## „სამტრედიაში" ახალ მწვრთნელს ელიან: ჩხარტიშვილს ანაც დარსაძეს



„სამტრედიის" ხელმძღვანელობა გულმოდგინედ ეძებს ყოფილი მთავარი მწვრთნელის კახა ელაშვილის შემცვლელს. მართალია, ამ მოვალეობას ახლა ბადრი ქორიძე ასრულებს, მაგრამ, მისივე თქმით, მხოლოდ დროებით. როგორც შევიტყვეთ, საუბარი ყოფილა „ბათუმის" ყოფილ მწვრთნელ ვალერიან ჩხარტიშვილზე, რომლის გამოჩენას უკვე ელოდნენ სამტრედიაში, მაგრამ ჯერჯერობით ჩხარტიშვილისგან პასუხი არ მიუღიათ. ისიც შევიტყვეთ, რომ ასლან აბაშიძეს უზრუნია, „ბათუმიდან" წასვლის შემდეგ ჩხარტიშვილი უმუშევრად რომ არ დარჩენილიყო, გუნდის ევროპაში მეორედ გამყვანს ამაგი დაუფასა და საკონსერვო ქარხნის დირექტორად დანიშნა.

ჩხარტიშვილის გარდა „სამტრედიის" სავარაუდო მწვრთნელთა სიაში საქართველოს 16 წლამდე ნაკრების ყოფილი მწვრთნელის გაიოზ დარსაძის გვარიც ფიგურირებს. იგი ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა მეთოდურ ჯგუფს ხელმძღვანელობს. ერთი სიტყვით, ჩხარტიშვილი ან დარსაძე — აი, „სამტრედიის" ხელმძღვანელობისთვის სასურველი ორი კანდიდატი, თუმცა, საკითხავია, მოინდომებენ კი ისინი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ გუნდში მისვლას?

იმ შემთხვევაში, თუ არ დათანხმდნენ, კვლავ ბადრი ქორიძე გააგრძელებს სამწვრთნელო საქმიანობას. რაც შეეხება კახა ელაშვილს, როგორც თავად გვითხრა, სავსებით შესაძლებელია, იგი I ჯგუფის ერთ-ერთი გუნდის მთავარ მწვრთნელად ვიხილოთ. თუმცა კონკრეტულად გუნდის დასახელებისგან ჯერ თავი შეიკავა.

## ბადრი ქორიძე: ჯერ კიდევ იმედია

ამ მცირე ხნის წინ სამტრედიის გუნდის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ჩვენ უკვე გაცნობეთ. 31 აგვისტოს, გუნდის წარმომადგენლობით შეწუხებული გულშემატკივრები და თავად „სამტრედიის" წევრები სოფელ დიდ ჯიხაიშში, გუნდის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბნენ. შეკრებაზე მთავარმა მწვრთნელმა კახა ელაშვილმა თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა. ჩვენთვის მხოლოდ ეს ფაქტი იყო ცნობილი, ყველაზე საინტერესო დეტალები კი მკითხველს ვერ მივაწოდეთ. რა მოხდა ჯიხაიშის ბაზაზე 31 აგვისტოს? ამ შეკითხვით დავიწყეთ ჩვენი მცირე საუბარი „სამტრედიის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელთან ბადრი ქორიძესთან.

— გუნდმა ოთხი თამაში წააგო. ეს იყო მიზეზი ელაშვილის გადადგომისა. არც ხელმძღვანელობას აძლევდა ხელს ასეთი შედეგი. ელაშვილის წასვლის შემდეგ ამ მოვალეობას დროებით მე ვასრულებ.

**— „სამტრედიაში" მერე მოვედი. ფინანსური კრიზისის გამო „ანჯელის" დაშლის შემდეგ დროებით უმუშევარი დავრჩი. ვერ ვიტყვი, „სამტრედიაში" როდემდე დავრჩები, რადგან საუბარია ჩხარტიშვილის ან დარსაძის ჩამოყვანაზე.**

**— „სამტრედიაში" ცუდ დროს მიხვედით...**

— რა თქმა უნდა, ძნელია ასეთ დროს იმუშაოს მწვრთნელმა. მაგრამ თავად ბიჭებმა დამიჭირეს მხარი და აზრი გამოთქვეს, რომ საჭიროა რადიკალურად შეიცვალოს საქმისადმი დამოკიდებულება. ვფიქრობ, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც შეიძლება ვითარების შეცვლა.

**— სეზონის წინ „სამტრედიის" ნორმალური შეკრება არ გიუვლია. საწვრთნელი პროცესიც, კახა ელაშვილისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ იყო სისტემური. როგორ აპირებთ ამის გამოსწორებას?**

— თანდათან ყველაფერი თავის კალაპოტში დგება. ვარჯიშებიც ნორმალურად მიმდინარეობს. ალბათ, ახალი მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს ბევრ საკითხს — ვინ დარჩეს და ვინ წავიდეს. ჩემი აზრით, მაინც ჩხარტიშვილი უნდა მოვიდეს.

**— დღეს ცოტაა თავისუფალი მოთამაშე, მაგრამ მაინც არიან ასეთები. გუნდში ვინმეს მოყვანას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არა. მალე მეკარე გრიგოლ ჭანტურია, გია ჩხაიძე და დათო ხუჭუა დაგვიბრუნდებიან. მათ კი გუნდის გაძლიერება შეუძლიათ. თანაც, ჩვენ, ყველაფრის მიუხედავად, შეგვიძლია უკეთესი თამაშის ჩვენება. გუნდში ბევრი ახალი მოთამაშეა. მათი გუნდთან შერწყმა და ახალი გუნდის ჩამოყალიბება რთულია, თუმცა, შეუძლებელიც არაა. შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება და იმედი მაქვს, არც წელს გვეღირსება ურიგო გუნდი.

**— გაიმეორებთ თუნდაც შარშანდელ შედეგს ასეთი სტარტის შემდეგ?**

— ჯერ ხომ მხოლოდ ექვსი ტურია ჩატარებული. წინ მთელი სეზონია. მთავარია, მოთამაშეები საქმისადმი როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით განეწყობიან.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბათუმელებს „ეინდჰოვენის" არ ეშინიათ

ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ პასუხებიდან, „ბათუმის" მოთამაშეთათვის დასმულ საერთო კითხვებზე რომ მივიღეთ.

**1. — რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ „ეინდჰოვენთან" მოგიწევდათ თამაში?**

**2. — თქვენი აზრით, შეძლებთ წლევანდელ თასების თასზე ასპარეზობის დადებითი ბალანსით დასრულებას?**

### თემურ ტუღუში:

1-2. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თავს რომ არ დავზოგავ, ნაღდია.

### ალეკო ჭანტიძე:

1. არც ძალიან შევვშინებია, მაგრამ არც მაინცდამაინც გაგვხარებია. ნორმალურად აღვიქვით კენჭისყრის შედეგი.

2. ძლიერი გუნდი კი არის, მაგრამ, არა მგონია, ორივე შეხვედრა წავაგოთ. პირველი მატჩი შინ, წესით, ფრედ უნდა დავასრულოთ.

### პაატა მაჭუტაძე:

1. ვიღაც ძლიერი ხომ უნდა შეგვხვედროდა? „ბარსელონასთან" და „პარი-სენ-ჟერმენთან" შეხვედრას ისევ „ეინდჰოვენი" ჯობდა. ჩემი აზრით, ის ორი გუნდი უფრო ძლიერები არიან.

2. ბათუმში მხოლოდ მოგებაზე ვფიქრებთ. ბიჭები კარგ ფორმაში არიან და ეს იმედიან განწყობას მიქმნის.

### ნიკა ტოგონიძე:

1. ფარერებიდან შინ ვბრუნდებოდით. აეროპორტიდან სახლში დავრეკე და მაშინ გავიგეთ ეს ამბავი. ბიჭებს სახეზე ღიმილი შევნიშნე. ნებისმიერ შემთხვევაში, ძლიერ გუნდთან შეხვედრა გველოდა და არა აქვს მნიშვნელობა, ვის შევხვდებით. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, მესიამოვნა კიდეც „ეინდჰოვენის" მეტოქეობა — გამოცდილებასაც შეიძენ და თავსაც გამოსცდი.

2. ერთი ვიცი — თავს არ დავზოგავთ, სირცხვილნაჭამი რომ არ დავრჩეთ. ასეთი განწყობა აქვს გუნდში ყველას — რიგით მოთამაშეს თუ მწვრთნელს. რაც მთავარია, არავითარი შიშის გრძნობა არ გვაქვს. დასაკარგი არაფერი გვაქვს. ვებ, გაგვიმართლოს კიდეც.

### დათო უჯმაჯურიძე:

1. კარგ გუნდთან თამაში ყოველთვის მიხაროდა და ახლაც ასეა. „ეინდჰოვენთან" შებრძოლება, ალბათ, სიამოვნებას მოგვანიჭებს.

2. ვერაფერს გეტყვით.

### მალხაზ მახარაძე:

1. რა თქმა უნდა, „ეინდჰოვენი" ყველაზე სასურველი მეტოქე არ იყო. ამას სჯობდა, საფრანგეთის თასის ფინალისტ „ნიმს" შევხვედროდით. მაგრამ ყურები არ ჩამოგვიყრია. ჩვეულებრივად ვემზადებოდით. 12 სექტემბერს სტადიონზე მოსული გულშემატკივარი თავად ნახავს, რაც შეგვიძლია.

ფიზიკურად ახლა ნამდვილად კარგ ფორმაში ვართ და, ვფიქრობ ჰოლანდიელებთან ყველა ნამდვილი ორთაბრძოლის მოწმე იქნება.

2. მე მგონი, შეუძლებელი არ არის. მართალია, „ეინდჰოვენს" რამდენიმე ძლიერი მოთამაშე ჰყავს — დევრიზი, ნილისი, იონკი, მაგრამ დღეს ფეხბურთში საერთო დონე გათანაბრდა და ძნელია ვინმემ, თუნდაც „ეინდჰოვენმა" ასე ადვილად დაგვჩაგროს.

### დათო მახარაძე:

1. რთული შეხვედრები კი გველის, მაგრამ ისევ ასეთ ძლიერ მეტოქესთან შეხვედრა სჯობდა.

2. ძალიან გაგვიჭირდება.

### ამირან მუჯირი:

1. გამიხარდა, კარგი გუნდი რომ შეგვხვდა: თამაშებს უცხოელი სპეციალისტებიც დაესწრებიან და იქნებ ვინმემ თვალი დაგვადგას.

2. ყოველთვის მოგებაზე ვფიქრობ. მართალია, მოგება ძნელზე ძნელი იქნება, მაგრამ რომ არ შევრცხვებით, ამის იმედი ნამდვილად მაქვს.

# ნიუკასლმა ირწმუნა

## ინგლისი

### არსენალი 3:3 ჩელსი

**არსენალი:** ლუკიჩი, დიქსონი, უინტერბერნი, ბოულდი (რაიტი 74), მერსონი, ბერხკამპი, ლინიგენი, კიოუნი, პარლოუ, ჰართსონი, მოროუ (პლატი 46)
**ჩელსი:** ხარინი, პეტრესკუ, ლებეფი (დაბერი 60), კლარკი, მაიერსი, ვიალი, ჰიუზი, უაიზი, ბერლი (სპენსერი 83), დი მატეო, იონსენი
**გოლი:** ლებეფი (6 პ), ვიალი (30), მერსონი (44), კიოუნი (64), რაიტი (77), უაიზი (90)
**გაფრთხილება:** დიქსონი, უაიზი, ლებეფი, ჰიუზი

დენის უაიზმა „ჩელსი“ ბოლო წამს გადაარჩინა. გულიტის ბიჭები აქამდე წაუგებლად მიდიოდნენ, „არსენალთან“ კი ლამის დამარცხდნენ. თან, საოცარი ის იყო, რომ თავიდან 2:0-ს იგებდნენ. მეორე მხრივ, „მეთოფეებმა“ ფრიად ივაჟკაცეს. ამბობდნენ, ისინი იაპონიიდან ახალი მწვრთნელის, ფრანგი არსენ ვენგერის ჩამოსვლამდე უხალისოდ არიანო, მაგრამ აგერ, ლონდონურმა დერბიმ სხვა დაამტკიცა.

ანგარიში მე-6 წუთზე „ჩელსის“ ერთ-ერთმა საუკეთესო შენაძენმა, ფრანგმა ლიბერომ, ფრანკ ლებეფმა პენალტით გახსნა. მოგვიანებით მას სამ მეტოქესთან შეჯახებისას ნატკენმა ზურგმა მოედანი დაატოვებინა, თუმცა მანამდე დენის ბერხკამპის წინააღმდეგ უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. მეორე გოლი ჯონ ლუკიჩის კარში ჯანლუკა ვიალიმ გაიტანა. ამ ეპიზოდში კარგად ითამაშა კეიგ ბერლიმ, რომელმაც იტალიელს მარჯვნივ სივრცე გაუნთავისუფლა. ვიალიმ ენდი ლინიგენი ჩამოიშორა და მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა. ამგვარად, ლუკიჩმა, რომელიც „არსენალს“ ექვსწლიანი განშორების შემდეგ „ლიდსიდან“ თავისუფალ აგენტად დაუბრუნდა და „ჩელსისთან“ შეხვედრაში ინგლისის ნაკრების დაშავებულ გოლკიპერს დევიდ სიმენს ცვლიდა, საწყის 30 წუთში ორი გოლი გაუშვა. ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე პოლ მერსონმა მასპინძლებს იმედი ჩაუსახა — ეს პირადად დმიტრი ხარინის მიერ გაშვებული პირველი გოლი გახლდათ ამ სეზონში.

მეორე ტაიმი „მეთოფეებმა“ მძლავრად დაიწყეს და 64-ე წუთზე მარტინ კიოუნმა თავით გაათანაბრა. ეს მერსონის და დევიდ პლატის მიერ გათამაშებულ კუთხურს მოჰყვა, როდესაც წლეულს მოედანზე პირველად გასულმა პლატმა შორეული ძელის გადაღმა ჩაჰკიდა, კიოუნმა კი თავით ბურთის კარში შეგდება შესძლო, ხოლო 70-ე წუთზე, შეცვლაზე შესულმა იან რაიტმა, რომელსაც „არსენალის“ დროებით თავკაცი სტიუარტ ჰიუსტონი დიდად არ სწყალობს, მოედანზე გამოჩენიდან სამ წუთში თავისიანები წინ გაიყვანა. ბოლოს კი ჯონ სპენსერის პასით დენის უაიზმა დრამატულ შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა.

### ქოვენთრი 0:1 ლივერპული

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, ბაროუზი, ჟენო, ბოროუზი, დეიში (დაკროსი 80), შოუ, ჯესი, მაკალისტერი, ვილანი (ისაიაში 80), დაბლინი, სალაკო
**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, მატეო, რაიტი, ბები, ბიორნებიუ, მაკმანამანი, თომასი, კოლიმორი, ფაულერი, ბარნსი
**გოლი:** ბები (68)
**გაფრთხილება:** მაკატირი, თომასი, ბები, ბაროუზი, ჟენო, შოუ

ფილ ბები ორი წლის წინ „ქოვენთრიში“ თამაშობდა და „ლივერპულს“ 3,5 მილიონ გირვანქად სწორედ ამ გუნდიდან შეუერთდა. მისმა გოლმა დაამარცხა იმ დღეს მასპინძლები, რომელთაც ოთხ ტურში ერთადერთი ქულა აქვთ მოპოვებული. ეს კვირა „ქოვენთრისთვის“ მართლაც ძლიერ უიღბლო იყო. სათადარიგო გუნდების ჩემპიონატში მსაჯთან ჩხუბისთვის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მწვრთნელი რონ ატკინსონი და მისი ასისტენტი გორდონ სტრაჩანი დასაჯა. აგერ, პრემიერლიგის მორიგ შეხვედრაშიც ხელი მოეცარათ. „ლივერპული“ კი დაუმარცხებელ სვლას აგრძელებს.

გასულ სეზონში, ამ გუნდების შეხვედრაში, ჯონ სალასკოსთან შეჯახებისას ლივერპულელი სტივ ჰარკნესი მძიმედ დაშავდა. ეს „წითელთა“ ქომაგებს არ დავიწყნიათ და ოთხშაბათს, რამდენჯერაც სალაკომ ბურთი მიიღო, სტუმართა ფანებმა იმდენჯერ უსტვინეს. მეგობრისთვის შურისძიება ჯეისონ მაკატირმაც განიზრახა და მსაჯს ყვითელი გამოსტყუა.

თამაშის დაწყებიდან ორიოდ წუთში „ლივერპულმა“ კინაღამ შეაგდო: იონ ჯესის შეცდომამ სტენ კოლიმორს საჯარიმოში შესვლის საშუალება მისცა, მაგრამ სტივ ოგრიზოვიჩმა აუღო. სხვათაშორის, 8,5 მილიონიანი კოლიმორი ლივერპულში, „ენფილდთან“ გადასახლებაზე უარს ამბობს და ამბობენ, ამან, შესაძლოა, საბოლოოდ გუნდი დააკარგინოს კიდეც.

„ქოვენთრი“ ღირსეულად იბრძოდა, მაგრამ მომენტებს ძირითადად სტუმრები ქმნიდნენ. ოგრიზოვიჩმა კოლიმორს ერთხელაც აუღო, არც რობი ფაულერს გაატანინა. მასპინძლებს კი საუკეთესო შანსი მეორე ტაიმის პირველ წუთზე მიეცათ, მაგრამ დაიონ დაბლინმა თაურით ვერ გაიტანა.

68-ე წუთზე კი ბაროუზმა მაკატირის წინააღმდეგ წესი დაარღვია. მაიკლ თომასმა მაკატირთან გაითამაშა, მისი დარტყმა რიკოშეტით საჯარიმოში შევარდა და ბურთი შორეულ ძელთან ბებს მიუვიდა. ბებმა ზუსტად დაარტყა.

### სანდერლენდი 1:2 ნიუკასლი

**სანდერლენდი:** კოტონი, კუბიცკი, სკოტი, ბრაისველი, ბოლი, მელვილი, გრეი, ორდი, სტიუარტი, ეგნიუ (რაე 76), ქუინი
**ნიუკასლი:** სრნიჩეკი, უოტსონი, ელიოტი, ბეტი, ჰაუი, პიკოკი, ლი, ბერდსლი, შირერი, ფერდინანდი, ჟინოლა
**გოლი:** სკოტი (19 პ), ბერდსლი (52), ფერდინანდი (62)
**გაფრთხილება:** ქუინი, ელიოტი

„როკერ პარკზე“ ძველი მტრების ბრძოლა გაჩაღდა. ეს მათი 117-ე პაექრობა იყო. შემდგომს კი ისინი უკვე სხვა სარბიელზე გამართავენ, რადგან სანდერლენდი სტადიონს იცვლის და ამიერიდან „ვეარმაუთზე“ ითამაშებს. ნიუკასლელებს მცირე მხარდაჭერა ჰქონდათ. მათი ქომაგებისთვის მხოლოდ ათასი ადგილი იყო გამოყოფილი.

კევინ კიგანი თავის მოთამაშეებს მეტ თავგანწირვას თხოვს. ბოლო ჟამს მრავალჯერ ითქვა, რომ „ნიუკასლის“ ცუდი სტარტის მიზეზი უპირატესად საკუთარი ძალების ეჭვქვეშ დაყენება იყო. ფეხბურთელებმა, ეტყობა, მწვრთნელისა ისმინეს და „სანდერლენდს“ ფიცხელი ბრძოლა შეაგებეს. არ გამართლდა მავანთა ეჭვი, რომ კიგანი ტრადიციულ 4-4-2-ს 5-3-2-ად გარდაქმნიდა. განლაგება ძველებური იყო, სამაგიეროდ შემადგენლობაში ორი ცვლილება ჰქონდათ: ფილიპ ალბერის ნაცვლად მოედანზე დარენ პიკოკი გავიდა, ფაუსტინო ასპრილიას მაგივრად კი პიტერ ბერდსლი. ასპრილიამ კვირას, ოკეანეს გაღმა, მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეხვედრაში ჩილეს სამი გოლი გაუტანა და ცხადია, ოთხშაბათისთვის ინგლისს დაბრუნებული დაღლილი იქნებოდა.

მიუხედავად სტუმართა მონდომებისა, პირველი ტაიმი „სანდერლენდის“ გამარჯვებით დამთავრდა. რობი ელიოტმა სტივ აგნიუ საჯარიმოს მარჯვენა ნაპირში წააქცია და არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი მარტინ სკოტმა მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ანგარიში 52-ე წუთზე ბერდსლიმ გაათანაბრა. ბურთი საჯარიმოში ლეს ფერდინანდმა ჩაჰკიდა, ბერდსლიმ კი თავით ჯერ მინდორს დაჰკრა და ტონი კოტონის ნახტომიც ამაო გახადა. ათი წუთის შემდეგ ფერდინანდმა თავად შეაგდო გამარჯვების გოლი. ეს კუთხურიდან მოხდა, რომელიც დავიდ ჟინოლამ შორეულ ძელთან ჩააწოდა, ფერდინანდი კი ლამის აფრინდა და ბურთი ბადეში გაახვია.

„სანდერლენდმა“ ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ვერც დარიუშ კუბიცკის პასითა და პოლ სტიუარტის თაურით შეაგდო თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე და ვერც სხვაგვარად.

### ევერტონი 0:1 ასტონ ვილა

**ევერტონი:** საუთჰოლი, ბარეტი, შორტი, ანსუორსი, ჰინჩკლიფი, კანჩელსკისი, გრანტი, პარკინსონი, სპიდი, სტიუარტი (რაიდაუტი 67), ფერგიუსონი
**ასტონ ვილა:** ოუქზი, ნელსონი (სიმეცა 90), რაიტი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, სტონტონი, ჩურჩიჩი (ტეილორი 76), დრეიპერი, თაუნსენდი, იორკი, მილოშევიჩი (ჯონსონი 86)
**გოლი:** ეჰიოგუ (62)
**გაფრთხილება:** გრანტი, სტონტონი, ჩურჩიჩი

ინგლისის ნაკრების კანდიდატის უგო ეჰიოგუს საუცხოო გოლით „ასტონ ვილამ“ მიმდინარე სეზონში მესამე გამარჯვებას მიაღწია. მეორე ტაიმის მე-17 წუთზე 23 წლის მოთამაშემ კომბინაცია თავად წამოიწყო და თავადვე დაამთავრა. მან მარჯვენა ფრთაზე ფერნანდო ნელსონი გაიყვანა, რომლის ჩაწოდებული ნევილ საუთჰოლს გადააფრინდა. შორეულ ძელთან ბურთს დუაით იორკი ელოდა, რომელმაც თავით ეჰიოგუს დაუგდო და გოლმაც არ დააყოვნა.

ეს ეჰიოგუსთვის იშვიათი მომენტი იყო, რადგან მან, მთელი გასული სეზონის განმავლობაში, ერთადერთხელ მოახერხა მეტოქის გოლკიპერის დამარცხება.

ამრიგად, უეფას თასის მონაწილე „ასტონ ვილა“ უდაო პროგრესს განიცდის. ახალი სეზონის პირველ მატჩთან შედარებით, როდესაც გუნდმა „შეფილდ უენსდეისთან“ წააგო, ახლა გაცილებით მობილური და ძლიერია. რაც შეეხება „ევერტონს“, „ვილასთან“ მარცხი მისთვის პირველი გახლდათ.

არადა, პირველ ტაიმში „ევერტონმა“ ორი დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან: ჯერ იყო და ენდი ჰინჩკლიფმა კუთხური რომ ჩააწოდა, ხოლო გარი სპიდმა ძლიერი თაური დაარტყა, ალან რაიტმა, რალაცნაირად, ბურთის კარის ხაზიდან გამოტანა მოახერხა. ტაიმი რომ დასასრულს უახლოვდებოდა, ტონი გრანტმა ანდრეი კანჩელსკისი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, დარტყმამაც არ დააყოვნა, თუმცა ოუქზმა ბურთის მოგერიება შეძლო. ბურთი შოტლანდიელ დანკან ფერგიუსონს მიუგორდა, მაგრამ მისი გასროლილი ძელმა უკუაგდო.

### დერბი ქაუნთი 1:1 მანჩესტერი

**დერბი:** ჰოულტი, როუტი, ქ. პაუელი, დ. პაუელი, შტიმაცი, სტარიჯი (გაბიადინი 87), ასანოვიჩი (ფლინი 87), ვილემსი (სიმპსონი 82), ლაურსენი, კარბონი, დეილი
**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, მეი (სოლსკიაერი 74), პალისტერი, კანტონა, ბათი, გიგზი, კრუიფი (სქოულზი 74), იონსენი
**გოლი:** ლაურსენი (25), ბექჰემი (38)
**გაფრთხილება:** სტარიჯი, დეილი, დ. პაუელი, ბექჰემი, გიგზი

ოთხი ტურია გასული და ამათგან სამში ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფრეს გათანაბრებით მიაღწია. ამჯერად ალექს ფერგიუსონის გუნდს დევიდ ბექჰემმა უშველა, რომელმაც კვირას პირველად ითამაშა ინგლისის ნაკრებში. „იუნაიტედმა“ შესაძლოა სათოხშაბათოდაც დაზოგა ძალები. 11-ში ხომ ტურინში, ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსს“ სტუმრობენ. აქვე აღსანიშნავია, რომ ავიარეისის პრობლემის გამო ამ შეხვედრის სანახავად ინგლისს ვერ ჩავიდა იუვენტუსელთა მწვრთნელი მარჩელო ლიპი.

ალექს ფერგიუსონი მისთვის თვალის აზვევას ლამობდა თუ ახალ ვარიანტს ამუშავებდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ თამაშში მან რონი იონსენი გარი ნევილის და დენის ირვინის მხარდამხარ მესამე ცენტრალურ მცველად ათამაშა.

სტუმრებს მე-11 წუთზე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ გიგზ-ბექჰემის კომბინაცია ცუდი დარტყმით და ჰოულტის მიერ ბურთის იოლად აღებით დასრულდა. მასპინძელთა მხრივ ალიოშა ასანოვიჩი აქტიურობდა, მისმა თანამემამულე შტიმაცმა კი კანტონას ახლო მანძილიდან დარტყმული გააუვნებელჰყო.

მალე მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს: დევიდ მეიმ დინ სტარიჯი დასცა. მსაჯმა ჯარიმა დანიშნა, პიტერ შმაიხელმა კი ორკაციანი ცოცხალი კედელი აღმართა. დარტყმა შმაიხელსავით დანიელმა იაკობ ლაურსენმა შეასრულა და ზუსტადაც.

38-ზე ბექჰემმა გაქვითა. გიგზმა დერილ პაუელს ბურთი წაართვა, ბექჰემმა კი იგი კარიდან 22 მეტრის მოშორებით იგდო ხელთ და გოლკიპერისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში გაიტანა. მომენტები სხვაც იყო. მაგალითად, მთლად ბოლოს კანტონას, თაურით, გამარჯვების გოლის შეგდება შეეძლო, მაგრამ ხარიხას გადააცილა. ასე უფრო სამართლიანიც იყო.

### მიდლსბრო 4:1 ვესტ ჰემი

**მიდლსბრო:** მილერი, კოქსი, უაიტი, ვიკერსი, ვილანი, ემერსონი, ბარმბი (მური 85), მასტო, ჟუნინიო (სტამპი 85), რავანელი, ფლემინგი
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრიკერი, დიქსი, ბილიჩი, უილიამსონი, ბოუენი, პისტი (დაუი 55), ლიზარადისი (დუმიტრესკუ 60), რადუჩიოუ (ლამპარდი 86), ჰიუზი, ფუტრე
**გოლი:** ემერსონი (12), მასტო (28), რავანელი (52), ჰიუზი (57), სტამპი (81)
**გაფრთხილება:** მასტო, უაიტი, ფლემინგი, ბილიჩი, დიქსი, ჰიუზი

ბრაიან რობსონის ორმა შენაძენმა — ემერსონმა და ფაბრიციო რავანელიმ 30 600 მაყურებლის წინაშე „რივერსაიდ სტედიუმზე“ გოლები გაიტანეს და თავიანთი გუნდის საუცხოო გამარჯვებაში წილი დაიდეს.

„პორტუდან“ 4 მილიონ გირვანქად შეძენილმა ემერსონმა 25 მეტრიდან უმძლავრესი დარტყმით მე-12 წუთზე გახსნა ანგარიში. მეორე ახლოდან მასტომ შეაგდო.

სანამ შესასვენებლად გავიდოდნენ, მიდლსბროელებმა რამოდენიმე ეპიზოდში ისეთი პასები გადააწოდეს ერთმანეთს, რომ მაყურებელთ აღფრთოვანების შეძახილი ამოხდა. ვასახელების ...ნ მიმავალ მოთამაშეებს კი ფეხზე წამოუდგნენ და ტაში დაუკრეს.

მეორე ნახევარში რავანელიმ მესამე დაამატა. 7 მილიონად ნაყიდ იტალიელს ასისტენტობა ბრაზილიელმა ჟუნინიომ გაუწია. მანვე თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე ფილ სტამპს მიაწოდა საგოლე პასი. ამ ეპიზოდებს შუა 57-ე წუთზე კი მაიკლ ჰიუზმა 25 მეტრიდან ჩინებული დარტყმით საპირისპირო კარშიც გაიტანა.




„დერბი ქაუნთი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“: რაიან გიგზი მეტოქის მცველს გიექცა

### უიმბლდონი 1:0 ტოტენჰემი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, თეტჩერი, ჯოუნზი, პერი, მაკალისტერი, ერლი, ეკოკუ (კლარკი 79), გეილი (ჰარფორდი 79), გუდმენი (კიმბლი 64), ერდლი
**ტოტენჰემი:** უოქერი, ედინბურგი, ჰოუელსი, კალდერვუდი, ფოქსი, ნილსენი (ალენი 46), ანდერტონი (ნეზერკოტი 74), დოზელი (როზენტალი 74), ვილსონი, კემპბელი, სინტონი
**გოლი:** ერლი (3)
**გაფრთხილება:** ეკოკუ, ჯოუნზი, კანინგემი, სინტონი, კალდერვუდი, დოზელი, ედინბურგი
**გაძევება:** ჯოუნზი

გახსოვთ უელსელი ვინი ჯოუნზი, უელსი — საქართველოს შეხვედრაში მიხეილ ყაველაშვილთან უხეშობისთვის მოედნიდან რომ გააძევეს? მას ინგლისურ გაზეთებში ველურად იხსენიებენ, რადგან უხეშობითა და გაძევებებით არის ცნობილი. „ტოტენჰემთან“ შეხვედრაშიც ჯოუნზმა ტრადიციას არ უღალატა და მსაჯს წითელი ბარათი აჩვენებინა. ეს ამ გადარეული კაცის მეთორმეტე გაძევებაა კარიერაში.

სამაგიეროდ, რობი ერლის მიერ მე-3 წუთზე გატანილი გოლით „უიმბლდონმა“ გამარჯვება იზეიმა. ეს გოლი არათუ მატჩში პირველი, გუნდისთვის სეზონში პირველიც გახლდათ და სამი მარცხის შემდეგ გამარჯვება მოიტანა.

### ბლექბერნი 0:1 ლიდსი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, ქოულმენი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი, ბოჰინენი, ფენტონი, ბერგი, დონისი, უორჰერსტი (ფლიტკროფტი 39, პირსი 82)
**ლიდსი:** მარტინი, კელი, პალმერი, უეზეროლი, შარპი, უოლესი (გრეი 80), რაში, ბოუიერი (რადებე 88), ჯობსონი, ჰერტი, ფორდი (კუზენსი 89)
**გოლი:** ჰერტი (40)
**გაფრთხილება:** ჯობსონი, უოლესი

ბედნიერი დღოება უდგას იან ჰერტს. ხუთი დღის წინ ცხრამეტის გახდა, კვირას ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპულიის ჩემპიონატის შესარჩევში ლიხტენშტეინს გაუტანა. ოთხშაბათს კი „ბლექბერნს“ შეუგდო და [illegible] ქომაგები ერთობ გაახარა. [illegible] „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გახერხებული ფრე გარდატეხას სულაც არ ნიშნავდა. რეი ჰარფორდის ბიჭები ოთხი თამაშიდან ერთადერთი ქულით ბოლოსწინაზე არიან და გულშემატკივრები მწვრთნელს ალან შირერის გაყიდვას ვერ პატიობენ.

ორივე მეტოქე თავდასხმაში უფერული გახლდათ. ერთადერთი „ბლექბერნის“ ზერძენი თავდამსხმელი გეორგიოს დონისი აქტიურობდა. 39-ე წუთზე პოლ უორჰერსტი დაშავდა და იგი გარი ფლიტკროფტით შეცვალეს. ფლიტკროფტი ის კაცია, გასული სეზონის მიწურულს „ბლექბერნმა“ „მანჩესტერ სიტისგან“ 3,2 მილიონ დოლარად რომ იყიდა და ჯერჯერობით თავი ვერ გამოუჩენია. იმ დღესაც მისი თამაშში ჩართვა მასპინძელთათვის მარცხით დაიწყო. მან, თამაშში რამდენიმე წამის ჩართულმა, მარკ ფორდის წინააღმდეგ წესი დაარღვია. ჯარიმიდან ლი შარპმა ჩააწოდა, ჰერტი კი უმალ ბურთს დაუხვდა და ტიმ ფლაუერსი თაურით უშანსოდ დასტოვა.

### საუთჰემპტონი 2:2 ნოტინგემი

**საუთჰემპტონი:** მოსი, დოდი, ჩარლტონი (პოტერი 58), ნილსონი, დრაიდენი, სლეიტერი, მეჯილტონი (უოტსონი 54), ლე ტისიე, ლუნდეკვამი, შიპერლი, ჰინი (ოკლი 76)
**ნოტინგემი:** კროსლი, კუპერი, იერკანი, ჩეტლი, პირსი, ბარტ-უილიამსი, სტოუნი, ჰაალანდი, უონი, სონდერსი, კემპბელი (სილენცი 73)
**გოლი:** კემპბელი (4), სონდერსი (23), დრაიდენი (53), ლე ტისიე (89)

ბოლოსწინა წუთზე ინგლისის ნაკრების მოთამაშემ მეტიუ ლე ტისიემ ბრწყინვალე ინდივიდუალური თამაშით „საუთჰემპტონს“ ქულა მოუპოვა. ეტყობა, ლამანშის სრუტეში ერთ-ერთ პატარა კუნძულზე დაბადებულ-აღზრდილს, გლენ ჰოდლის მიერ ერთვნულ გუნდში მიწვევამ დიდად გაუმართა ხელი.

სულ დასაწყისში კი საიმონ ჩარლტონის უხეშმა შეცდომამ კევინ კემპბელს ანგარიშის გახსნის და სეზონის მეოთხე გოლის გატანის საშუალება მისცა. ეს ასე მოხდა: დინ სონდერსის დარტყმული ნილ მოსმა მოიგერია (მოსი კარს დეივ ბისანტის ნაცვლად იცავდა, რომელსაც ოჯახის წევრი გარდაეცვალა), მაგრამ კემპბელმა დამატება არ დააყოვნა. შემდეგ 23-ზე კემპბელმა ახალ თანაგუნდელს კლაუს ლუნდეკვამს მიაწოდა, ლუნდეკვამმა ჩააწოდა, დინ სონდერსმა კი თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა.

53-ზე ჩარლტონის მოწოდებული კუთხური „საუთჰემპტონის“ ახალმა მოთამაშემ რიჩარდ დრაიდენმა გოლად გარდაქმნა, ბოლოს კი მეტ ლე ტისიემ, ზემოთ რომ ვთქვით, ის მოიმოქმედა და წერტილიც დასვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:3 | 12 |
| ასტონ ვილა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ლიდსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| მანჩესტერ იუნ. | 4 | 1 | 3 | 0 | 8:5 | 6 |
| ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 5 |
| სანდერლენდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ევერტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ნოტინგემი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ვესტ ჰემი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| დერბი ქაუნთი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| უიმბლდონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ბლექბერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| ქოვენთრი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |


## საქართველო იტალიის წინააღმდეგ

— 9 ოქტომბერს იტალიის ქალაქ პერუჯაში — ოთხდღიანი შოპ-ტური ექსკურსიით — ყველაზე იაფად. მგზავრობა კომფორტული ავტობუსით.
გასვლა 3 ოქტომბერს.

დაგვიკავშირდით ფირმა „მოგზაურში“:
ჭავჭავაძის 21, 29-20-20
ალმაშენებლის 134, 96-14-75
რუსთაველის 42, 99-84-73
93-46-75

# პარაგვაელი რომ ვარ, იმიტომ?

კოლორიტულმა პარაგვაელმა მეკარემ ხოსე ლუის შილავერმა კვირას ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრებს ჯარიმიდან გოლი გაუტანა და მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი ფრედ დაამთავრა. შილავერი გოლის გატანით ადრეც ცნობილი იყო. მის მიერ 60 მეტრიდან შეგდებული ბურთი კი მუდმივი მოგონების თემაა. 31 წლის გოლკიპერი არგენტინის ჩემპიონის „ველეზ სარსფილდის“ კარს იცავს. ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში „სარსფილდის“ გამარჯვებაში დიდი როლი სწორედ შილავერის მიერ გადამწყვეტ შეხვედრაში მოგერიებულმა პენალტმა ითამაშა.



ხოსე ლუის შილავერი

ეს კი ასეა, მაგრამ არგენტინის სასამართლომ ხუთშაბათს პარაგვაელ ფეხბურთელს 13 თვით პროფესიული ფეხბურთისგან მოკვეთა მიუსაჯა. მიზეზი: შილავერმა სტადიონის მოხელეს დაარტყა. სამი თვით იგი ადრეც იყო დასჯილი — იმავე დანაშაულისთვის. 1994 წელს „ხიმნასია ი ესგრიმა დე ლა პლატასთან“ მატჩის დროს ჩაიდინა იგივე.

— ძალიან მშვიდად ვარ. მე საუცხოო ვქილები მყავს — თქვა მეკარემ ტელევიზიით გამოსვლისას — თუ მაინც ვერაფერს გავხდები, სხვა ქვეყანაში წავალ. არგენტინა ერთადერთი ხომ არაა, ფეხბურთს რომ თამაშობენ.

შილავერი თვლის, რომ არგენტინის სასამართლომ იგი ეროვნების გამო დასაჯა:

— მათ ჩემთვის წარმატება ვერ უპატიებიათ, რადგან პარაგვაელი ვარ, მაგრამ ამით მითუფრო ვამაყობ.

სხვათა შორის, შილავერი არგენტინელთა კარში გოლის გატანისთვის პარაგვაის მთავრობამ დააჯილდოვა.

მეკარემ იმის დასასაბუთებლად, რომ ჩაგრავენ, კიდევ ერთი არგუმენტი მოიყვანა:

— მკვლელები, ბავშვთა გამაუპატიურებლები და კაცი, რომელმაც ჟურნალისტებს ოპტიკურსამიზნიანი თოფი ესროლა, დღემდე არ გაუსამართლებიათ, მე კი უცბად გამომიტანეს განაჩენი.

კაცი, რომელმაც თოფი ისროლა, ცხადია მიხვდით, დიეგო მარადონაა. მართლაც, არგენტინული ფეხბურთის სუპერვარსკვლავის ის საქმე სასამართლოს ჯერაც არ გაურჩევია.

## ნუმას ამბავი

„სტრასბურის“ თავდამსხმელი პასკალ ნუმა გასულ კვირაში თამაშის მერე „მეცის“ მცველს პასკალ პიერს თავს დაესხა და ცხვირი გაუტეხა. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ გამოხდომისთვის ნუმას ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ნუმამ თავის დასაცავად ასეთ ხერხს მიმართა — პიერმა რასისტულად გამლანძღაო, მაგრამ ყური არ ათხოვეს. დაზარალებულმა ასეთი ბრალდება, ცხადია, უარჰყო და ზანგის აგრესიას ცივი, სისხლიანი თავდასხმა უწოდა.

## ბებეტომაც გაიტანა

ივლისში ესპანეთის „დეპორტივო ლა კორუნიადან“ სამშობლოში, „ფლამენგოში“ რაც გადავიდა, ცნობილ ბებეტოს გოლი არ გაეტანა. ბოლო ტურის მატჩში კი ნავსი გატყდა. ვარსკვლავმა მეტოქის ცოცხალ კედელს ჯარიმიდან ბურთი გადაატარა და მიზანს მიაღწია. „ფლამენგოს“ მეტოქე ამ შეხვედრაში გახლდათ უსუსტესი „ბრავანტინო“, რომელიც ზედიზედ ექვსი თამაშია აგებს და ცხრილის ბოლოშია.

ბრაზილიური ჩემპიონატის შარშანდელმა ბომბარდირმა ტულიომ კი „კურიტიბას“ ჰეთ-თრიქი შეუსრულა. ამ მატჩში „ბოტაფოგომ“ 4:1 მოიგო. ტულიომ გასულ სეზონში 50 გოლი გაიტანა, წლეულს კი ცხრის შემდეგ ტრავმამ შეაჩერა.

— ახლა საქმეს დავუბრუნდები და მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებ — თქვა ფორვარდმა.

## ლიპი აღშფოთდა

„იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი საოცრად აღაშფოთა იმან, რომ 21 აგვისტოს მისი გუნდისა და „მილანის“ შეხვედრაში მომხდარი გაწევ-გამოწევის გამო მოედნიდან გაძევებულ ანტონიო კონტეს საფეხბურთო სასამართლომ ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იგივე ბედი ეწია დეიან სავიჩევიჩს „მილანიდან“, მაგრამ ლიპის, ცხადია, თავისი ადარდებს.

— კონტეს არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ეგეც რომ არა, განა შეიძლება ამხანაგურ თამაშში მიღებული ბარათი ოფიციალურ შეჯიბრებაზე ვრცელდებოდეს? წესები შესაცვლელია — გაწიწმატდა მწვრთნელი.

დისკვალიფიკაცია, ცხადია, არ ეხება ოთხშაბათის შეხვედრას ჩემპიონთა თასზე, სადაც „იუვენტუსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს.

## მენოტი იგებს და იგებს

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი სეზარ ლუის მენოტი ორი წლით ფეხბურთს ჩამოშორებული იყო. ახლა, როგორც ადრეც გაუწყეთ, იგი „ინდეპენდიენტეს“ ხელმძღვანელად დაუბრუნდა საყვარელ საქმეს. არგენტინაში დაწყებულ ახალ სეზონში მისმა გუნდმა ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა. მეორე ტურის მატჩი „ინდეპენდიენტეს“ „ნიუელს ოლდ ბოისთან“ ჰქონდა და 4:0 მოიგო. ორი გოლი არგენტინის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა ხორხე ბურუჩაგამ გაიტანა — ერთი ჯარიმიდან, მეორე კი პენალტით. მენოტის ბიჭები ახლა 6 ქულით, 7 გატანილი და 0 გაშვებული გოლით პირველ ადგილზე არიან. ამგვარი შედეგი სხვას არავის აქვს. მეორეზე 4 ქულით „რივერ პლეიტია“, მისებრი შედეგით კი კიდევ ხუთი გუნდი მოდის.

ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი ალფიო ბასილე „რასინგ კლუბს“ წვრთნის. პირველ ტურში ამ გუნდმა 1:2 წააგო, მეორეში კი ჩემპიონს „ველეზ სარსფილდს“ 3:2 მოუგო და 20 გუნდიან ჩემპიონატში მე-13 ადგილზეა. „სარსფილდსაც“ 3 ქულა აქვს, ოღონდ სამი ადგილით ზევით იმყოფება.

## ბებრის ყვავილობა

გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე ბოდო ილგნერი, რომელიც 1994 წლიდან ეროვნულ გუნდში აღარ მიუწვევიათ, მადრიდის „რეალმა“ იყიდა. ხუთშაბათს იგი ესპანეთის დედაქალაქს ჩაფრინდა და, შესაძლოა, „ერკულესის“ წინააღმდეგ ხვალვე ითამაშოს. „კიოლნის“ აწ ყოფილ მოთამაშესა და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონს თავისი ქვეყნის მთავარ გუნდში 54 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

## გადამყიდველი კი არა ვარ

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელმა კევინ კიგანმა გაფანტა ჭორები ფრანგი ვარსკვლავის დავიდ ჟინოლას შესაძლო გაყიდვის თაობაზე. ბოლოხანს ფრანგ გარემარბს „ბარსელონაც“ უკავშირდებოდა და „არსენალიც“, მაგრამ...

— მისი გაყიდვა რომ მდომოდა, ზაფხულზე გავყიდიდი. ხომ ნახეთ, არსად გამიშვია. ჟინოლა იმიტომ კი არ შევიძინე, რომ მერე ძვირად გამეცა. მე ის მომწონს და ვფიქრობ, ინგლისურ ფეხბურთს წელს შარშანდელზე უკეთ აუღებს ალღოს. ის საოცრად ნიჭიერია და მე ამ უნარს ჩემს გუნდს მოვახმარ — თქვა კიგანმა, რომელსაც თავის დროზე დავიდში 7,05 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი.

## როგორ გაიაფებულა ლენტინი

1992 წელს „მილანმა“ „ტორინოსგან“ ჯანლუიჯი ლენტინი რომ იყიდა, იმ პერიოდისთვის სარეკორდო თანხა — 12 მილიონი დოლარი გადაიხადა. მაშინ ჭორი გავრცელდა, სინამდვილეში გარიგება უფრო ძვირფასი იყო, უბრალოდ, ნაღდი თანხა დოკუმენტში არ მიუთითებიათო. ამ საქმეს ხელისუფლებაც კი იძიებდა.

გავიდა არცთუ დიდი ხანი და მოთამაშემ ტრავმა მიიღო. ვერაფრით აღუდგინეს ლენტინის ჯანმრთელობა და აგერ, ახლა, როგორც სააგენტოები იუწყებიან, 600 ათას დოლარად „მილანმა“ იგი „ატალანტას“ მიჰყიდა. ფეხბურთელი 27 წლისაა.

## „ნიცას“ ახალი თავი

საფრანგეთის „ნიცამ“ შინ „გინგამთან“ 1:2 წაგების შემდეგ გაანთავისუფლა მწვრთნელი ალბერ ემონი. მის ნაცვლად გუნდს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მეკარე, „ნიცასა“ და „პარი სენ-ჟერმენში“ ნათამაშები დომინიკ ბარატელი გაწვრთნის.

## იმედით ცოცხლობს კანუ

ნიგერიელი თავდამსხმელი ნვანკვო კანუ, რომელსაც ექიმებმა გულის დაავადება აღმოუჩინეს, იმედს არ კარგავს.

— ჩემი სპორტული კარიერა ჯერ არ დასრულდა — თქვა ნვანკვომ — მე მსოფლიოს რჩეულ ექიმებთან ვიმკურნალებ, რათა კვლავ მოედანს დავუბრუნდე. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დავეთხოვო თამაშს. სანამ დავნებდები, ბოლომდე ვიბრძოლებ.

საზოგადოება ფრიად აღაშფოთა კანუს ყოფილი გუნდის „აიაქსის“ საქციელმა. გაჩნდა ეჭვი, რომ ამსტერდამელებმა განგებ დაუმალეს ფეხბურთელს ავადმყოფობა, შემდეგ კი „ინტერს“ გვარიან თანხად შეაჩეჩეს იგი. ამას არ დაეთანხმა მილანის კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომელმაც თქვა, რომ „აიაქსი“ ასეთი ფლიდობისთვის დიდი გუნდია.

„მილანის“ მცველმა მიქაელ რაიციგერმა, რომელიც კანუსავით წლეულს გადავიდა „აიაქსიდან“ იტალიაში, თქვა:

— ჰოლანდიაში ფეხბურთელი საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხს თავად აგებს. ათასი ტესტი გამივლია, მაგრამ ისე საფუძვლიანად, როგორც აქ, არავის გაუსინჯივარ.

ისევ კანუ: — იმედი მაქვს, რომ ყველა ჩემი მხარდამჭერი და პრესა გამიგებს, თუ რატომ ვერიდები საჯარო გამოსვლებს. ახლა სათქმელი არაფერი მაქვს. ჯერ მომავლის შესახებ მეტ-ნაკლებად კონკრეტული რამ უნდა გავიგო.

## დაგვსაჯეთ, ღირსნი ვართ

შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ ხუთშაბათს 100 ათასი კრონით (15 ათასი დოლარი) დასაჯა თავისი პირველი ლიგის გუნდი „იურგორდენი“, რომლის ქომაგებმაც 26 აგვისტოს „გიოტებორგთან“ მატჩში ტრიბუნიდან რაღაც საგნები ისროლეს და რამდენიმე მაყურებელი დააზიანეს კიდეც.

ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ კლუბმა ლამის თავად ითხოვა ქვედა ლიგაში გადაყვანა, ეს რა მოგვივიდაო.

— საბოლოოდ ეს ინციდენტი 250 ათასი კრონი დაგვიჯდა (37 ათასი დოლარი) — თქვა კლუბის თავმჯდომარემ მატს ოლსენმა, რომელმაც სხვა, დამატებითი ხარჯებიც მიათვალა.

„იურგორდენი“ გასული წლის აპრილში იმავე დანაშაულისთვის 320 ათასი კრონით დასაჯეს.

## ჰოლანდია

IV ტური: პსვ — ვაალვეიკი 4:0, აზ — ვოლენდამი 2:1, გრააფსხაპი — ნიიმეგენი 4:0, როდა — აიაქსი 0:0, სპარტა — ტვენტე 1:2, ვილემ II — ვიტესი 2:1, ფორტუნა — ფეიენოორდი 0:2, ჰერენვენი — ბრედა 0:1, უტრეხტი — გრონინგენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 4 | 4 | 0 | 0 | 15:3 | 12 |
| ფეიენოორდი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ტვენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| გრააფსხაპი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ვიტესი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ბრედა | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:2 | 7 |
| ჰერენვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| როდა | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ვილემ II | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ვაალვეიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | 4 |
| ფორტუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| აზ 67 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| უტრეხტი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| სპარტა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| გრონინგენი | 4 | 0 | 2 | 1 | 1:4 | 2 |
| ნიიმეგენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| ვოლენდამი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |



# სულზე მოგვისწრო...

## ანზორ ლეჟავა 60 წლისაა



საქართველოში რომ კალათბურთი სპორტის ეროვნული სახეობასავით შეითვისეს, ეს სადავო არავის გაუხდია. ამიტომაც ყველა ის დიდი კალათბურთელი, რომლის წვლილიც განსაკუთრებულია ქართული კალათბურთის განვითარებასა და საერთაშორისო აღიარებაში, საქართველოს სახელის გატანაში, ერისკაცი და დიახაც, რომ ეროვნული გმირია. ერთი მათგანი, მართლაც რომ გამორჩეულად ამაგიანი კაცია ანზორ ლეჟავა. ის, რაც მან ქართული კალათბურთის დიდებისათვის გააკეთა, ჭეშმარიტად გმირობის ტოლფასია. გმირებს კი სახელმწიფოსგან (როგორც არ უნდა უჭირდეს მას) დაფასება, თანადგომა და დახმარება ეგების.

მართლაც განუზომელი და საეტაპოა ანზორ ლეჟავას ღვაწლი და დამსახურება ქართულ კალათბურთში. მახსენდება, ჩვენი კალათბურთის ისტორიის რა ეტაპზე გამოჩნდა იგი და დღევანდელი გადასახედიდან ჩემთვის, როგორც ვეტერანი კალათბურთელისთვის, დღესავით ნათელია, რომ ანზორ ლეჟავას მოსვლამ იმხანად ბევრწილად იხსნა ქართული კალათბურთი. დიახ, თბილისის „დინამომ“ რომ შეინარჩუნა ბრწყინვალე ტრადიციები და ადგილი საბჭოთა კალათბურთის ელიტაში, ეს მისი უდავო დამსახურებაცაა. „ძველებს“ ყველას კარგად გვახსოვს ჩვენი კალათბურთის ეს კრიტიკული წლები. ასაკმა უწია და დიდი კალათბურთიდან წავიდა უდიდესი კალათბურთელი ოთარ ქორქია, საკავშირო ასპარეზზე კი ზედიზედ გამოჩნდნენ გიგანტი კალათბურთელები — ახტაევი, კრუმინში, პეტროვი, ტკაჩენკო, ანდრეევი და სხვები. ნიჭიერ, სწრაფ და ტექნიკურ ქართველ კალათბურთელებს ძალიან გაუჭირდათ ამ გიგანტებთან ბრძოლა და მოწინავე პოზიციების დათმობაც დაიწყეს. აბა, რას გააწყობდი, როცა ძალა, უფრო სწორად, სიმაღლე აღმართს ხნავდა. აი, სწორედ ამ შეჭირვებისას მართლაც რომ სულზე მოგვისწრო ანზორ ლეჟავამ. მოგვისწრო და დაუხანებლად, მამაცურად გადაეშვა გიგანტებთან გაშმაგებულ ორთაბრძოლაში. მისი დებიუტი ჭეშმარიტად შთამბეჭდავი, ჩვენთვის შვების მომგვრელი და მეტოქეთათვის თავზარდამცემი გახლდათ. ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ ანზორ ლეჟავამ უმალ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი საბჭოთა კავშირის უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელთა სამეულში. არადა, ზემოთ ნახსენები გიგანტების გარდა იმხანად თამაშობდნენ სხვა ჩინებული და ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელები — ზუბკოვი, ლიპსო, ეგლიტისი, კანდელი და სხვები.

„სამეულს“ რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ ანზორს უხმეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, სადაც ტრადიციულად, მუდამ სამ ცენტრალურ თავდამსხმელს იწვევდნენ. ყველას კარგად გვახსოვს ის ამბავი, რომ იმ პერიოდში სპორტის ნებისმიერი სახეობის საკავშირო ნაკრებში ქართველი რომ აეყვანათ, იგი ერთი თავით მაღლა უნდა მდგარიყო კონკურენტზე.

ალბათ საინტერესოა, როგორ სჯობნიდა ანზორი ამ აღიარებულ ცენტრალურ თავდამსხმელებს, მათ შორის იმ გიგანტებსაც, რომელნიც მასზე გაცილებით მაღლები იყვნენ. უპირველესად ის უნდა ითქვას, რომ ანზორ ლეჟავა იყო გამორჩეულად გონიერი კალათბურთელი. იშვიათად მინახავს მის მიერ დაკარგული ან უმისამართოდ მიწოდებული პასი. სიმაღლისა და წონის კვალობაზე მეტოქის ფარქვეშ ის საკმაოდ მოძრავი გახლდათ, ბრწყინვალედ ირჩევდა ადგილს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, შეტევისას არასოდეს ჰკარგავდა კოორდინაციას და, რაც მთავარია, ტექნიკურად უზადოდ ასრულებდა ე. წ. კაუჭებს, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით. საერთოდაც, შეტევისას ძალიან მარჯვედ ხმარობდა მარცხენა ხელსაც, რითაც ის აშკარად გამოირჩეოდა სხვა ცენტრალური თავდამსხმელებისგან. გარდა ამისა, დიდი მასის და მოედანზე ადგილის შერჩევის იშვიათი უნარის წყალობით ანზორ ლეჟავა თანაგუნდელებს უქმნიდა მეტოქის კალათაზე შესატევ ბრწყინვალე პოზიციებს — ახოვანი ტანით ერთბაშად 2-3 მოწინააღმდეგის ბლოკირება შეეძლო. ამით განსაკუთრებით კარგად სარგებლობდა ვლადიმერ უგრეხელიძე. ჩემი აზრით, „პტიცა“ თავის შესანიშნავ წარმატებებს დიდად უნდა უმადლოდეს ანზორ ლეჟავას — ეს იქიდანაც ჩანს, რომ ანზორის კალათბურთიდან ჩამოშორების მერე უოვას თამაშიც ერთგვარად გაფერმკრთალდა.

1996 წლის 3 სექტემბერს ანზორ ლეჟავას 60 წელი შეუსრულდა. ჩვენი მეგობრობა დაიწყო 1958 წელს. იმ წელს ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ჩავირიცხე თბილისის „ბურევესტნიკის“ ოსტატთა გუნდში, სადაც ანზორი დამხვდა, თუმცა იგი ძალიან მალე გადაიყვანეს თბილისის „დინამოში“. ჩვენ კვლავ მოგვიწია ერთად თამაში, როცა ანზორი კალათბურთს თავს ანებებდა და თბილისის „დინამოდან“ წამოვიდა. ანზორ ლეჟავამ ური ვერ უთხრა თავის აღმზრდელს, ცნობილ მწვრთნელს, ყველასათვის საყვარელ „ძია მიშას“ და დროებით ჩაირიცხა ჩვენს გუნდში. სწორედ მისი დიდი დამსახურება იყო, რომ მეორედ გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები სტუდენტთა შორის.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ანზორ ლეჟავას პიროვნულ თვისებებზე, ანუ მის უსაზღვრო სიკეთეზე, კაცთმოყვარეობაზე, სიყვარულზე, სითბოზე... 60 წლის ანზორ ლეჟავა დარჩა „დიდ ბავშვად“. დიახ, ანზორ ლეჟავა დიდი ქართველი (როგორც ფიზიკური კონდიციებით, ისე სულიერი ფასეულობებით), დიდი კალათბურთელი და „დიდი ბავშვია“. ღმერთს შევთხოვ, დიდხანს და ჯანმრთელად ამყოფოს ანზორ ლეჟავა და უდღეგრძელოს მას თბილი და ტკბილი ოჯახი — 86 წელს მიტანებული დედა, შესანიშნავი მეუღლე, სამი დაიკო, სამი შვილი და სამი შვილიშვილი...

ანზორ საკანდელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ბოხუმი — კარლსრუე | 2,2 | 2,7 | 2,2 |
| ზანქტ პაული — ვერდერი | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| ჰანზა — დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| ბაიერნი — არმინია | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| დუისბურგი — შალკე | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლევერკუზენი — მიუნხენ 1860 | 1,45 | 2,8 | 5,0 |
| 8 სექტემბერი | | | |
| შტუტგარტი — კიოლნი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| მანჰაიმი — უნტერჰახინგი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ფორტუნა (კიოლნი) — ლაიფციგი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 8 სექტემბერი | | | |
| ცვიკაუ — შტუტგარტერ კიკერსი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ლუბეკი — კარლ ცაისი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ოლდენბურგი — ურდინგენი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| გუტერშლოხი — ჰერტა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| 9 სექტემბერი | | | |
| აინტრახტი — მეპენი | 1,2 | 3,3 | 8,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ასტონ ვილა — არსენალი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ლიდსი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ლივერპული — საუთჰემპტონი | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| მიდლსბრო — ქოვენთრი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ნოტინგემი — ლესტერი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ტოტენჰემი — ნიუკასლი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| უიმბლდონი — ევერტონი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| 8 სექტემბერი | | | |
| სანდერლენდი — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| 9 სექტემბერი | | | |
| ბლექბერნი — დერბი ქაუნთი | 1,45 | 2,9 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7-8 სექტემბერი | | | |
| ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი | 1,2 | 3,4 | 7,5 |
| პორტსმუთი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| საუთენდი — ბოლტონი | 3,6 | 3,2 | 1,5 |
| სტოკ სიტი — კრისტალ პალასი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| რედინგი — ოქსფორდი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| მანჩესტერ სიტი — ბარნსლი | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბრედფორდი — ნორვიჩი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| გრიმსბი — სვინდონი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| იფსვიჩი — ჰადერსფილდი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ოლდემი — შეფილდ იუნაიტედი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ქუინზ პარკი — ვესტ ბრომვიჩი | 1,3 | 3,2 | 5,6 |
| ტრანმერი — ბირმინგემ სიტი | 1,6 | 3,0 | 3,4 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| ჰარტსი — დანდი იუნაიტედი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| რეის როვერსი — აბერდინი | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მეექვსე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ბასტია — მარსელი | 1,4 | 2,9 | 5,3 |
| ნიცა — ბორდო | 2,3 | 2,5 | 2,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ბოლონია — ლაციო | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| პარმა — ნაპოლი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| რომა — პიაჩენცა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| უდინეზე — ინტერი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| 8 სექტემბერი | | | |
| კალიარი — ატალანტა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ფიორენტინა — ვიჩენცა | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| მილანი — ვერონა | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| პერუჯა — სამპდორია | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| რეჯანა — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ბარი — ბრეშია | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| დი სანგრო — კოზენცა | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| კიევო — კრემონეზე | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| პალერმო — პესკარა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ჯენოა — ლუკეზე | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| პადოვა — ემპოლი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| რავენა — ვენეცია | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| რეჯინა — ლეჩე | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| სალერნიტანა — ფოჯა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ტორინო — ჩეზენა | 1,25 | 3,2 | 7,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7-8 სექტემბერი | | | |
| კომპოსტელა — ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,0 |
| ლოგრონიესი — ტენერიფე | 2,1 | 2,5 | 2,7 |
| სევილია — სარაგოსა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ვალენსია — სოსიედადი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ხიხონი — სანტანდერი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ბარსელონა — ესპანიოლი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ატლეტიკი — რაიო ვალეკანო | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ესტრემადურა — ბეტისი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| რეალი — ერკულესი | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| სელტა — დეპორტივო | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ბრაგა — ბელენენსეში | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ჟილ ვისენტე — ბენფიკა | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| სეტუბალი — გიმარაეში | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| უნიაუ ლეირია — პორტუ | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| შავეში — ლეცა | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სალგეირუში — მარიტიმუ | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ეშტრელა — რიო ავე | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სპორტინგი — ფარენსე | 1,1 | 3,8 | 11,5 |
| ბოავიშტა — ესპინიუ | 1,15 | 3,4 | 10,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ზენიტი — ჩერნომორეცი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ჟემჩუჟინა — ბალტიკა | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| კრილია სოვეტოვი — ნოვგოროდი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| კამაზი — ლადა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ურალმაში — ალანია | 4,7 | 3,1 | 1,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ბეშიქთაში — ქოჩაელისფორი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 8 სექტემბერი | | | |
| გალათასარაი — ფენერბაჰჩე | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ანკარაგიუჯუ — ბურსასფორი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ფეიენოორდი — ვილემ II | 1,15 | 3,6 | 9,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| რაპიდი — ზალცბურგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ტიროლი — აუსტრია | 2,0 | 2,7 | 2,7 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| არაუ — სერვეტი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ქსამაქსი — სიონი | 1,45 | 2,8 | 5,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ანდერლეხტი — სერკლ ბრიუგე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 8 სექტემბერი | | | |
| ბრიუგე — სტანდარდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა (უმაღლესი ჯგუფები)
ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10 სექტემბერი | | | | |
| ბრონდბიუ (დანია) — არაუ (შვეიცარია) | (1,6-1,8) | 1,45 | 2,8 | 5,0 |
| ცსკა (რუსეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | (2,5-1,35) | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| აპოელი (კვიპროსი) — ესპანიოლი (ესპანეთი) | (10,0-—) | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| გინგამი (საფრანგეთი) — ინტერი (იტალია) | (4,0-1,15) | 2,1 | 2,5 | 2,5 |
| ოდენსე (დანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | (2,8-1,3) | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | (2,8-1,3) | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ნიუკასლი (ინგლისი) — ჰალმშტადი (შვედეთი) | (1,1-5,0) | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| აბერდინი (შოტლანდია) — ბერი თაუნი (უელსი) | (1,1-5,0) | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ჰუტნიკი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| რომა (იტალია) — დინამო (რუსეთი) | (1,2-3,5) | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| სელტიკი (შოტლანდია) — ჰამბურგი (გერმანია) | (2,8-1,3) | 1,9 | 2,6 | 3,0 |
| ტენერიფე (ესპანეთი) — მაკაბი (ისრაელი) | (1,05-7,5) | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ლეგია (პოლონეთი) | (1,55-1,9) | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| არსენალი (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გერმანია) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ჩერნომორეცი (უკრაინა) — ნაციონალი (რუმინეთი) | (1,7-1,7) | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ბრიუგე (ბელგია) — ლინგბიუ (დანია) | (1,25-3,1) | 1,3 | 3,1 | 6,0 |
| რაპიდი (რუმინეთი) — კარლსრუე (გერმანია) | (5,0-1,1) | 2,4 | 2,4 | 2,3 |
| ასტონ ვილა (ინგლისი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) | (1,15-4,0) | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ლანსი (საფრანგეთი) — ლაციო (იტალია) | (2,8-1,3) | 1,9 | 2,7 | 2,9 |
| მალმიო (შვედეთი) — სლავია (ჩეხეთი) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ეკერენი (ბელგია) — გრაცერი (ავსტრია) | (1,6-1,8) | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| მონპელიე (საფრანგეთი) — სპორტინგი (პორტუგალია) | (1,9-1,55) | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| ვალენსია (ესპანეთი) — ბაიერნი (გერმანია) | (2,1-1,45) | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| დინამო (უკრაინა) — ქსამაქსი (შვეიცარია) | (1,9-1,55) | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| მოლენბეკი (ბელგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (1,7-1,7) | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| გიმარაეში (პორტუგალია) — პარმა (იტალია) | (4,0-1,15) | 2,2 | 2,5 | 2,4 |
| ალანია (რუსეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) | (2,3-1,4) | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| შალკე (გერმანია) — როდა (ჰოლანდია) | (1,35-2,5) | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ტიროლი (ავსტრია) — მეცი (საფრანგეთი) | (2,3-1,4) | 1,8 | 2,7 | 3,1 |
| 11 სექტემბერი | | | | |
| სპარტაკი (რუსეთი) — სილკებორგი (დანია) | (1,2-3,5) | 1,25 | 3,2 | 7,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

შემდეგ კვირას ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## ყურადღება!

ხვალ, 18 საათზე კინოთეატრ „რუსთაველის" მცირე დარბაზში განახლდება საფეხბურთო მატჩების ჩვენება.

უქმეებზე — ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები
შუა კვირაში — ევროპის საკლუბო ტურნირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯექსონი კარტრაიტმა შეცვალა

„ჩიკაგო ბულზმა" სულ სამი დღე მოანდომა მწვრთნელის ახალი თანაშემწის გამოძებნას. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს ეს თანამდებობა მიატოვა ნბა-ს სამგზის ჩემპიონმა ჯონ პაქსონმა. მის ნაცვლად ყოფილი „ხარი", პაქსონის თანგუნდელი და სამგზის ჩემპიონი 39 წლის ბილ კარტრაიტი იმუშავებს.

კარტრაიტმა შარშან დაანება თამაშს თავი. მისი ბოლო გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსი" იყო, მანამდე კი ექვსი წელიწადი „ჩიკაგოში" გაატარა. 213 სანტიმეტრიანმა ცენტრმა ნბა-ში 16 სეზონი დაჰყო, პირველი ცხრა — „ნიუ-იორკ ნიქსში". კარტრაიტი საშუალოდ თამაშში 13,2 ქულას და 6,3 მოხსნას აკეთებდა. მისი საუკეთესო სეზონი 1979-80 იყო, მაშინ, როცა ახალბედა გახლდათ. იმ წელს იგი საშუალოდ 21,7 ქულას აგროვებდა. ამავე სეზონში პირველად და უკანასკნელად მოხვდა ოლ-სტარში. 1984-85 წლების სეზონში კარტრაიტმა მუხლის მეტად სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც მომდევნო ორ სეზონში მხოლოდ ორი (!) მატჩი ითამაშა.

„ჩიკაგომ" მეორე თანაშემწეც დანიშნა. 49 წლის ფრენკ ჰემბლენი „დალასში" მწვრთნელად გადასულ ჯიმ კლიმონსს შეცვლის. ჰემბლენს თანაშემწედ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან ეს საქმიანობა 1971 წელს დაიწყო „ჰიუსტონ როკიტსში", მაშინ იგი „ბულზის" მწვრთნელის კიდევ ერთი ამჟამინდელი თანაშემწის — ტექს ვინტერის დამხმარე იყო. 1972-77 წლებში ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის (აბა) კლუბ „დენვერში" მუშაობდა. 1977 წელს ნბა-ში დაბრუნდა და „კანზას-სიტი კინგზის" მწვრთნელის თანაშემწე გახდა.

1987 წელს ჰემბლენი „მილუოკი ბაქსის" მწვრთნელ დელ ჰარისის მთავარ თანაშემწედ დაინიშნა. 1991 წელს ჰარისი ვიცე-პრეზიდენტად გადავიდა და სეზონის დარჩენილ მატჩებში გუნდი ჰემბლენს გამოყავდა. მისი ხელმძღვანელობით „მილუოკიმ" 23 მატჩი მოიგო, 42 წააგო.

## თანაშემწე „ატლანტასაც" ჰყავს

65 წლის სტენ ელბეკი ხუთშაბათს დაინიშნა „ატლანტა ჰოქსის" მწვრთნელის თანაშემწედ და სკაუტად (მზვერავად). ადრე ელბეკი ნბა-ს ოთხი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო: სათავეში ედგა „კლივლენდს", „სან-ანტონიოს", „ნიუ-ჯერსის" და „ჩიკაგოს". მან კარიერაში 307 შეხვედრა მოიგო, 267 კი წააგო. ელბეკი სხვადასხვა დროს სტუდენტურ გუნდებსაც — დენვერს, ჩრდილოეთ მიჩიგანსა და ადრიანს წვრთნიდა. ბოლო სეზონში სტენი „ნიუ-ჯერსის" მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა.

## „ნიქსმა" დაიბრუნა ვილიამსი

18 თებერვალს „ნიუ-იორკ ნიქსმა" „ტორონტო რეპტორზს" მიჰყიდა 38 წლის ცენტრი ჰერბ ვილიამსი, ამან კი ახალ გუნდში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა. ოთხშაბათს „ნიქსმა" კვლავ დაიბრუნა ვილიამსი, ოღონდ უკვე [illegible] არც თავისუფალი აგენტი. კონტრაქტ[illegible] პირობები არ გაუმჟღავნებიათ.

1985-86 წლების სეზონში ვილიამსმა კარიერაში უმაღლეს შედეგს მიაღწია — საშუალოდ მატჩში 19,9 ქულას აგროვებდა. იმ დროს ჰერბი „ინდიანა პეისერზში" თამაშობდა. სხვათა შორის, ეს კაცი „ინდიანას" ყველა დროის ლიდერია დაფარებებში — 1094

ვილიამსს ნბა-ში 15 წელი აქვს გატარებული. ბოლო სეზონში იგი საშუალოდ მატჩში 3,1 ქულას და 2,1 მოხსნას აკეთებდა.

## ხარისხიანი ვეტერანი „ორლანდოში"

ოთხშაბათსვე „ორლანდო მეჯიქმა" ვეტერან ფორვარდ ლერონ ელისთან დადო კონტრაქტი. ეს კალათბურთელი კლუბის საზაფხულო თამაშებში მონაწილეობდა და საშუალოდ 8,9 ქულას და 6,1 მოხსნას აკეთებდა. „ორლანდოს" მწვრთნელ ბრაიან ჰილს მოეწონა ელისი: „ლერონმა ნაყოფიერად ითამაშა საზაფხულო მატჩებში. იმედი მაქვს, ასევე გაირჯება სეზონისწინა შეხვედრებშიც. საერთოდ, გუნდში ხარისხიანი მოთამაშეები და ხალხი გვჭირდება".

შარშანდელი სეზონი ელისმა „მაიამიში" გაატარა. მან 12 მატჩი ითამაშა. მოედანზე ჯამში 74 წუთი დაჰყო და 13 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა.

## სიმაღლისა და გამოცდილების გარანტი

ჯო ვოლფმა, თავის დროზე ამერიკულ სტუდენტური კალათბურთის ვარსკვლავმა, „მილუოკი ბაქსთან" ერთწლიანი კონტრაქტი დადო. კლუბი მომდევნო სეზონშიც იტოვებს ვოლფზე ყველა უფლებას. ბოლო სეზონში 208 სანტიმეტრიანი ცენტრი „ორლანდოში" იყო და 64 თამაშში საშუალოდ 4,5 ქულასა დაა 2,9 მოხსნას აკეთებდა. მანვე მიიღო მონაწილეობა „მეჯიქის" თერთმეტ ფლეი-ოფის მატჩში. მისი საშუალო შედეგიანობა 1,8 ქულა იყო.

ვოლფი 1987 წელს მოვიდა ნბა-ში. იგი დრაფტის პირველ წრეში „კლიპერზმა" აიყვანა. „ბაქსის" მწვრთნელმა კრის ფორდმა თქვა: „ჯო ვოლფი ორ რამეს შესძენს ჩვენს გუნდს — სიმაღლეს და გამოცდილებას".

## მაკმილანი კვლავ ავადაა

„სიეტლ სუპერსონიქსის" უკანახაზელი ნეით მაკმილანი წელკავმა გააწამა. კალათბურთელს საშინლად სტკივა წელის არე და მარცხენა ფეხიც. ნეითმა მკურნალობა ორი თვის წინ დაიწყო. მისთვის საგანგებოდ შეიმუშავეს პროგრამა, რომელიც თავიდან მოუხდა. ის კი არა, მაკმილანი „სიეტლის" საზაფხულო ბანაკში სრულიად გამოჯანმრთელებული გამართა. სხვათა შორის, ასეთი რამ ბოლო სამ სეზონში პირველად მოხდა: 1994 და 1995 წლების ზაფხულში კალათბურთელი ფეხის ტრავმით იყო შეწუხებული.

მაგრამ, განაახლა თუ არა ვარჯიში, წელკავმა კვლავ შეახსენა თავი. იმის ნაცვლად, რომ გუნდთან ერთად მომზადებულიყო, მაკმილანმა ზაფხული ექიმებთან და კლინიკებში გაატარა. იქაც ვერაფრით დაამშვიდეს — საბოლოოდ განკურნებას რამდენიმე თვე სჭირდება, შეიძლება ოპერაციამ გიშველოსო. კალათბურთელს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, გაიკეთოს ოპერაცია თუ არა.

## კიდევ ერთი ონილი

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" წლევანდელი დრაფტის მე-17 ნომრად 17 წლის ჯერმენ ონილი აიყვანა, ოღონდ კონტრაქტი თავიდან არ გაუფორმა და ერთგვარი გამოსაცდელი ვადა დაუწესა. ონილი სოლტლეიკ-სიტიში წაიყვანეს საზაფხულო ბანაკში. თან ავარჯიშებდნენ, თან აკვირდებოდნენ. ოთხშაბათს „პორტლენდის" პრეზიდენტმა ბობ ვითსითმა განაცხადა: „ონილმა კარგად იმუშავა. გაკვირვებულები ვართ, როგორ მოუმატა მან ოსტატობას საზაფხულო ბანაკში მზადების პერიოდში".

ამრიგად, ჯერმენმა სამწლიანი კონტრაქტი დადო. ამ ხნის განმავლობაში იგი 2,38 მილიონ დოლარს მიიღებს. პირველ სეზონში — 639 ათასს. ონილი იმ იშვიათ კალათბურთელებს მიეკუთვნება, რომლებიც სკოლის მერხიდან, სტუდენტურ კალათბურთის გაუვლელად მოხვდნენ ნბა-ში. როცა მის კონტრაქტს ვადა გაუვა, მხოლოდ მაშინ გახდება ოცი წლის.

## ერთი აგენტი „ვაშინგტონს"

ხუთშაბათს „ვაშინგტონ ბულიტსმა" კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი დაიმატა. აშრაფ ამაიას დაუმთავრდა კონტრაქტი „ვანკუვერ გრიზლისთან" და დედაქალაქელებს შეუერთდა. „ვანკუვერში" ამაიამ 54 მატჩი ითამაშა, საშუალოდ მატჩში 6,3 ქულას და 5,6 მოხსნას აკეთებდა.

„აშრაფი ტანმაღალი და ძლიერი კალათბურთელია, ფარზეც შეუძლია თამაში და დაცვაშიც. იგი მეტად საჭიროა „ბულიტსისთვის" — თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ვეს ანსელდმა. ამაიას დამთავრებული აქვს სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტი. 1994-95 წლებში საბერძნეთში, „ამპელოკიპიში" და კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობდა.

## „ნეთსს" ქითლზის იმედი აქვს

დრაფტი-96-ის მერვე ნომერი კერი ქითლზი „ნიუ-ჯერსი ნეთსის" წევრი გახდა. ოთხშაბათს მან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამ ხანში კალათბურთელი 4,5 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. „ნეთსის" მწვრთნელი ჯონ კალიპარი დიდ იმედს ამყარებს მასზე: „მოხარული ვარ, რომ კერი ჩვენთანაა. იგი უნიჭიერესი მოთამაშეა. ვიმედოვნებ, კიდევ გაიზრდება და დაეხმარება „ნეთსს".

## რაშიდი მართალია! ჯერჯერობით

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერის" მოთამაშე რაშიდ უოლესი ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ დიურემის სასამართლომ გაამართლა. უოლესს ბრალად ედებოდა ქალის შეურაცხყოფა. თითქოს რაშიდს 19 ივნისს მანქანით გზა გადაეღობოს ჩიკიტა ბრაიანტისთვის, როცა ის მანქანის სადგომის დატოვებას ცდილობდა. არადა, ეს ჩიკიტა ამ კალათბურთელის ერთი წლის შვილის დედაა. ამ დროს მოჩხუბარი წყვილის სიყვარულის ნაყოფიც იქვე ყოფილა.

ოთხშაბათს მოსამართლე რობერტ ბლექველმა გაამართლა უოლესი. მაგრამ კალათბურთელს მორიგი სასამართლო ელის. ამას წინათ ჩიკიტამ კვლავ უჩივლა რაშიდს — ჩემს სახლში ალიყური მაჭამაო.



# ოლიმპიურ ჩემპიონს მოკვლას უპირებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯოსაია თუგვანეს (მარჯვნივ) ატლანტიდან დაბრუნებისას მოცურავე მარიანე კროლთან ერთად მეფური შეხვედრა მოუწყვეს, ახლა მოკვლას უპირებენ

სამხრეთაფრიკელ ზანგებს თანამემამულე თეთრკანიანი სპორტსმენები რომ არ უყვართ, არ ახალი ამბავია. მაგალითისთვის წინა „სარბიელები" იხილეთ და დარწმუნდებით, თუ როგორ ქომაგობდნენ შავი აფრიკელები ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრებს. არადა, ეს გუნდი სხვას კი არა, მათი მშობლიური სამხრეთი აფრიკის „ქურციკებს" ეთამაშებოდა. მაგრამ ამათ ფურმე მარტო თეთრები როდი მოუძულებიათ. აგერ, ზანგ ოლიმპიურ ჩემპიონს მთლად მოკვლას უპირებენ.

25 წლის ჯოსაია თუგვანემ ატლანტაში მარათონი მოიგო. ამ წარმატებამ მას სახელი და პატივი მოუტანა სამშობლოში. გამოხდა ხანი და აწ უბედური ჩემპიონი ალბათ იმას ფიქრობს, ოლიმპიადაზე ნეტავ საერთოდ არ წავსულიყავიო.

საქმე ისაა, რომ თუგვანემ ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის სამხრეთ აფრიკის მთავრობისგან სოლიდური ფულადი ჯილდო მიიღო. სწორედ ეს გახლავთ ყველაფრის თავი და თავი. ჩემპიონმა რამდენიმე გამაფრთხილებელი წერილი მიიღო — ფულს ჩამოდი, თორემ მოგკლავთო. თუგვანე შეშფოთებულია: „ყველა ამბობს, რომ გადაწყვეტილი აქვთ ჩემი მოკვლა. არ ვიცი, ვინ არიან ეს ბანდიტები, მაგრამ თუკი ვინმეს მოკვლა განიზრახეს, უცილებლად კლავენ".

თუგვანე ემზინონის ზანგურ გეტოში ცხოვრობდა ცოლთან და ოთხ შვილთან. მუდამ მშიერი ხალხით დასახლებულ ამგვარ ლატაკ და გაუბედურებულ ადგილებში მეზობლები ერთმანეთს ხშირად ესხმიან თავს და ძარცვავენ. ხოლო თუ ვინმემ ფული იშოვა, ადგილობრივი ბანდიტების მსხვერპლი ხდება. ჰოდა, ყველა დარწმუნებულია, რომ ახლა თუგვანე მდიდარია და, რა თქმა უნდა, მოკლავენ. სხვათა შორის, ოლიმპიური ჩემპიონი წლის დამდეგსაც ძლივს გადაურჩა სიკვდილს: კროსში მოგებული ავტომანქანით მოდიოდა, ვიღაცამ ავტომობილის წართმევა მოუნდომა და სროლაც აუტეხა. თუგვანემ იყოჩაღა და გაქანებული მანქანიდან გადმოხტა, თორემ თავდამსხმელი უეჭველად ჩაცხრილავდა.

არადა, თუგვანე სამხრეთ აფრიკაში ერთობ დიდ პატივშია. მაღაროს დარაჯი, ვინც სირბილი ფულის საშოვნელად დაიწყო, ატლანტაში ეროვნულ გმირად იქცა. ბოლო არ უჩანს მის პატივსაცემად მოწყობილ ბანკეტებს და შეხვედრებს. მაგრამ ჩემპიონი მუდმივ შიშშია. მისმა ოჯახმა დატოვა ძველი სახლი და დროებით ბეთალის მაღაროების კომპლექსის ტერიტორიაზე დასახლდა. იქ ჯოსაიას ახალი სამუშაო მისცეს.

თუგვანეს სახლს გამუდმებით დარაჯობენ უშიშროების სამსახურის შეიარაღებული მცველები. მთავრობამ ამის თაობაზე უკვე იზრუნა. თუკი ოლიმპიური ჩემპიონი სადმე მიდის, თან ორი პირადი მცველიც ახლავს. თუგვანეს კი მაინც არაფერი უნდა სიწყნარესა და მშვიდობას ნატრობს.

„შინ წყნარად ყოფნა მინდა. ნეტავ ატლანტაში არაფერი მომხდარიყო. ამის გამო ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია. ვარჯიშის დაწყებაც მსურს. მედალს რა თავში ვიხლი, თუკი მომკლავენ. ალარაფერი მინდა, ოღონდ უსაფრთხოდ ვიყო" — ამბობს სასოწარკვეთილი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელსაც ტვინნაღრძობმა თვისტომებმა სიცოცხლე გაუმწარეს.



## „მოგვენატრა გუდაური"



სამთო სათხილამურო სკოლა აცხადებს ახალი ნაკადის მიღებას. მიიღებიან ბავშვები 7-დან 13 წლამდე. შეკრება ყოველ კვირას 11 საათზე „ლოკომოტივის" სტადიონის შესასვლელთან.
ტელეფონი: 98-95-84, 98-95-83
98-95-85
მსურველთა ჩაწერა სკოლაში დასრულდება 30 სექტემბერს.





# დას ძმაც მიჰყვა

## აშშ-ის ღია პირველობა

### ვაჟები

მეოთხედფინალი. ანდრე აგასი (აშშ) — თომას მუსტერი (ავსტრია) 6:2, 7:5, 4:6, 6:2. ანდრე აგასიმ წლევანდელი სეზონი უხეიროდ კი დაიწყო, მაგრამ ოლიმპიადის მოგების შემდეგ ნელ-ნელს იბრუნებს ჩვეულ ფორმას. მუსტერთან აგასის დიდი პრობლემები არ შექმნია. ავსტრიელმა, რომელიც სულ იმის დამტკიცების ცდაშია, რომ მარტო თიხნარზე კი არაა ძლიერი, მხოლოდ მესამე ხელი ითამაშა ვაჟკაცურად, დანარჩენში აგასი იოლადაც წანაურდებოდა (პირველ ორ ხელს 3:0 იგებდა) და უპრობლემოდ იგებდა. მუსტერმა ბოლოს ესლა თქვა: აგასის მწვრთნელს ბრედ ჯილბერტს რომ არ ეღრიალა ამდენი, თამაში სხვანაირად წარიმართებოდაო.

პიტ სამპრასი (აშშ) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 7:6, 5:7, 5:7, 6:4, 7:6. თუ გაიმარჯვებდა, მსოფლიოს ოცდამეთერთმეტე ჩოგანი კორეჩა გაიმეორებდა თვისტომ მანუელ ორენტესის 1975 წლის შედეგს: ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლას. კორეჩამაც ძალიან მოინდომა, მაგრამ მსოფლიოს პირველ ჩოგანს მაინც ვერ აჯობა.

მაიკლ ჩანგი (აშშ) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 7:5, 6:3, 6:7, 6:3. ვერც მეორე ესპანელმა გადალახა მეოთხედფინალის ზღუდე და ხავიერი მასზე ადრე გავარდნილ თავის დას არანჩას მიჰყვა. ამრიგად, ნახევარფინალში სამი ამერიკელი მოხვდა. ახლა ამათ ერთი უცხო, ხორვატი ივანიშევიჩილა შერჩათ, რომელმაც შვედი სტეფან ედბერგი დაამარცხა.

ფინალში გასასვლელად აგასი ჩანგს შეხვდება, სამპრასი — ივანიშევიჩს.

### ქალები

შტეფი გრაფი (გერმანია) — იუდით ვიზნერი (ავსტრია) 7:5, 6:3. ისე კარგად, წელს რომ თამაშობს, ვიზნერს მხოლოდ ოთხი წლის წინ უთამაშია და ამიტომაც გრაფისთვის ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გამოდგა. პირველ ხელში ვიზნერმა საკმაო წინააღმდეგობაც გაუწია, თუმცა საბოლოოდ მაინც გრაფმა გაიმარჯვა.

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 6:4, 7:6. ყოჩაღმა შვეიცარიელმა ყმაწვილქალმა დაძაბულ ბრძოლაში აჯობა გამოცდილ, ამერიკის ღია ჩემპიონატში მეათედ მოთამაშე ნოვოტნას, რომელიც მხოლოდ ერთხელ, ორი წლის წინ გასცდა მეოთხედფინალს.

გამარჯვებულ ვუნდერკინდს ნახევარფინალში გრაფთან ექნება საქმე. ეს მათი მეხუთე შეხვედრა იქნება. აქამდე სამჯერ გრაფმა გაიმარჯვა, ერთხელაც წელს, იტალიის ღია ჩემპიონატში, ჰინგისმა. ნახევარფინალის მეორე წყვილი — სელეში და მარტინესი თავიანთ მეცხრე ბრძოლას გაამართავენ. ნამდვილად გასაკვირი ამბავია, რომ მარტინესს ერთხელაც ვერ უჯობნია სელეშისთვის. არადა, რა ხანია საჩოგ[...] თო ელიტაშია, [...]ვალი ტურნირი, მათ შორის უიმბლდონიც მოუგია და მსოფლიოში ყველა მეტოქე დაუმარცხებია, სელეშს კი მეშვიდე წელია, ვერაფერს უხერხებს. ის კი არა, წინა რვა შეხვედრაში მარტინესს ერთი ხელიც (?!) ვერ მოუგია.

ვანო ქიქნაძე




სამპრასმა კი მოიგო, მაგრამ გვარიანად დაიღალა



გოგი ახვლედიანის

სვეტი

## ბრუს სელდონი?! ჰმ...

ორი დღის წინ გვარიანი კამათი მომიხდა „რეზონანსის“ საკრივო მიმომხილველ ალბერტ ხაჩატურიშვილთან. ეს ხაჩატურიშვილი კრივის მცოდნე კაცია და მძიმე წონაც ძლიერ უყვარს, მაგრამ ერთი ახირებული ზნე სჭირს — ტაისონი ეზიზღება.

რახან ტაისონი ეზიზღება, ჩვეულებრივ, ათას რამეს გამოიგონებს ხოლმე მის საწინააღმდეგოდ და ხან რა ავ სიტყვას დაუწერს, ხან რას.

აი, ახლაც დღევანდელი დიდი ჩხუბის მოლოდინში, ამაღამ რომ გაიმართება ლას-ვეგასში და ორი ვერსიის — საბჭოსა (ვბკ) და ასოციაციის (ვბა) ჩემპიონს გამოავლენს, კვლავ ტაისონის ლანძღვაშია.

ჩვენ ზემოლზე შევხვდით ერთმანეთს და რა თქმა უნდა, სიტყვა მაიკ ტაისონი — ბრუს სელდონის 7 სექტემბრის ჩხუბზე ჩამოვარდგეთ. გაირკვა, რომ ორივეს გადაგვიწყვეტია წინასაჩხუბო წერილის დაწერა — იმას თავის გაზეთში, მე — ჩემსაში. მას ზურგს ნაირნაირი სააგენტოები უმაგრებს, მე — ჟურნალები „რინგი“, „ბოქსინგი“ და „კეიო“ (ნოკაუტი).

ხაჩატურა კვლავ ძველებურად აჭყდა — ტაისონი კი მაგარია, მაგრამ მისი დღენი დათვლილია, რადგან სელდონს რომც მოუგოს, ლენოქს ლუისი დაწიხლავს; ლენოქსმა რომ ვერ აჯობოს, მაშინ ახალგაზრდა ნიუ-იორკელი, შენონ ბრიგსი გამოიწვევს და უეჭველად მოკლავსო. აი, ასეთ ვიღაცეებს გამოჩხრიკავს — შენონ ბრიგსიო, ვისაც სოფლის ბიჭებთან 16 ბრძოლა მოუგია.

ეგ რა არის, მარტში მიმტკიცებდა, ფრენკ ბრუნო ჩემპიონობას დაინარჩუნებსო, ე. ი. ბრუნო უნდა მორეოდა ტაისონს. ამ საქმემ მეოთხე რაუნდამდე ძლივს გასტანა და შედეგი ის არის, რომ ახლა ბრუნო ტაისონის მიერ დასიებული თვალიდან ხეირიანად ვერ იყურება და თუკი რინგზე ავიდა, დაბრმავდება კიდეც.

ხაჩატურიშვილმა ის ვეღარ გაბედა, სელდონი ტაისონს მოერევაო, მაგრამ ეშმაკურად კი ჩამეკითხა, როგორ ფიქრობ, რამ სიგრძე ბრძოლა იქნებაო, და მეც თითქოს ტაისონი ვიყო, გავიფხორე, სამ რაუნდს არ გასცდებაო. მან მითხრა, აგერ შენ და აგერ მე: შვიდ რაუნდზე ნაკლები არ იქნება, თუ მეტი არაო. ორივენი ტაისონის მოგებას ვგულისხმობდით, მაგრამ რაუნდთა სხვაობამ ლუდზე ნაძლევი გამოიწვია და ასე დავცილდით.

ახლა კი, მინდა უმოკლესად მოგითხროთ ბრუს სელდონის შესახებ. ის კლასიკური „მუყაოს მეფეა“. ეს სახელი ჰქვიათ კაცებს, რომელთა ჩემპიონობაც, ზოგადად რომ ვთქვათ, ტაისონის ციხეში ჩაჯდომამ გამოიწვია. ტაისონმა ვერ მოასწრო ბასტერ დაგლასის მიერ მისთვის წართმეული და სამად დაშლილი ერთიანი ჩემპიონობის დაბრუნება, ციხიდან გამოსულს კი ვერსიათა ჩემპიონებად ნამყოფნი დაუხვდნენ სულ ჭრელი გაქანების ხალხი.

ჩვენ ბრუს სელდონი გვაინტერესებს და გეტყვით, ვინც არის. ასოციაციის ახლანდელი ჩემპიონი 29 წლისაა და ნიუ-ჯერსიში, გლოსთერ-ქაუნთიში ცხოვრობს. რინგზე 33-ჯერ მოიგო და სამჯერ დამარცხდა, აქედან ორჯერ — ნოკაუტით: რიდიკ ბოუსა და ოლივერ მაქქოლთან. ოთხი წელი ხდება, არ წაუგია, რადგან ყოველთვის თავისაზე ნაკლებ ხალხს ხვდებოდა. საუკეთესო მოგებებად გრეგ პეიჯის, ჯო ჰიპის და ტონი ტაკერის დანოკაუტებას უთვლიან. ამ უკანასკნელს წლინახევრის წინ ასოციაციის ქამარი წაართვა. ამის შემდეგ ერთადერთხელ იჩხუბა ნახსენებ ჰიპთან და ტიტული დაიცვა.

უქებენ ათლეტურ აღნაგობას, ჯებსა და მოხდენილობას. ნიკაპი შუშისა აქვს: დასცხებ — გაუტყდება.

კარგად აწყობილი, ჩვეულებრივი მძიმეწონოსანია — გამოცდილი, მაგრამ არა განსაკუთრებული. ხაჩატურიშვილი ბრძოლის გაწელვის ხელოვნებას უქებს, თუმცა რიდიკ ბოუსთან პირველსავე რაუნდში დამარცხდა.

ტაისონი კი... განა საჭიროა ტაისონზე ლაპარაკი? ვფიქრობ, ლუდს მე მოვიგებ. აბა, ვის აქვს მაიკის დარი ხათქუნა მუშტები და ქარივით კომბინაციის უნარი?

# რაგბი

## «ოლ ბლექსი»




პრეტორიის „ლოფტუს ფერსფელდი“, აფრიკა — ზელანდიის გადამწყვეტი ტესტი. ჯასთინ მარშალს ზედახორიდან ბურთი გააქვს, ბებერი მარბიელი მაიქლ ჯოუნზი კი უკანა ხაზისკენ იმზირება

ასეთი გუნდი მსოფლიოს 90-იან წლებში აქამდე არა ჰყოლია. საქმე მარტო ის როდია, რომ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმა“ წელს ბლედისლოუს თასიც მოიგო, სამხრეთის სამეულის სერიალშიც გაიმარჯვა, აფრიკაში კი მასპინძლებს სამ-ტესტა სერიაში ისტორიული, პირველი მარცხი აგემა.

მთავარია ზელანდიელთა თამაშის სტილი: მაშინ, როცა ბურთაობის ზოგ სახეობაში პრაგმატული, დაცვითი, ულიმღამო იდეოლოგია ბატონობს და გამარჯვებული სულელური მეთოდებით ვლინდება, ზელანდიელებმა სრულიად სპორტის უმაღლეს დონეზე შეძლეს და ერთმანეთს შეუხამეს როგორც სანახაობრივი, ისევე ანგარიშიანი საწყისი. მათი ზე-ძალისმიერი, ზე-სწრაფი, ზე-ტექნიკური, უწყვეტი და ალღოს დაფუძნებული ბურთაობა უაღრესად საამო საცქერია და თვით გაუთვითცნობიერებელ მაყურებელსაც კი რაგბის რჯულზე მოაქცევს.

მსგავსი „ოლ ბლექსი“ სულ ახლო წარსულშიც, 1987-89 წლებში გვახსოვს. მას უკან ზელანდიელებმა მცირე კრიზისი გადაიტანეს, მაგრამ შარშან უკვე აშკარად დაეტყოთ ალმაცლობა და მსოფლიო თასსაც უთუოდ მოიპოვებდნენ, ამ შეჯიბრისთვის მეორე დიდ სარაგბო ქვეყანას — სამხრეთ აფრიკას რომ არ ემასპინძლა.

წლევანდელი „ოლ ბლექსი“, ისე, როგორც ყველა დიდი გუნდი, ბებრებისა და ჯეელების ნაზავია. ბებრები არიან ნაღდი ყოჩი — კაპიტანი ფითსპატრიქი, უცნაური 8 ნომერი ზ. ბრუქი, სამოელი შუამარბი ბანსი და ამავე კუნძულელი მ. ჯოუნზი. ჯეელები — თითქმის ყველა დანარჩენი, მეტადრე კი დირიჟორი მერთენსი, ზორბა ლომუ, მოუხელთებელი ქალენი, დაუღალავი კრონფელდი, ბრწყინვალე ჭილსონი და ასე შემდგომ.

გუნდი აბარია ჯონ პართს, ვისზეც დიდი ხნის წინაც ამბობდნენ, ზელანდიის საუკეთესო სპეციალისტიაო. და ჰა, რაგბი რომ გაპროფესიულდა, „ოლ ბლექსის“ მწვრთნელად დანიშნეს ეს ინტელიგენტი კაცი, ვისაც მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც მიუღწევია წარმატებისათვის — ცნობილი ბიზნესმენია.

„ოლ ბლექსის“ ძალა შემადგენლობის სტაბილურობაა. გუნდმა წელს არნახულად ბევრი — ათი ტესტი გამართა, შერკინება კი არ შეუცვლია. ეს განსაკუთრებული წრთობისა და საოცარი სამედიცინო მომსახურების წყალობით მოხდა. და ეს მაშინ, როცა სხვა სამხრეთელები — ავსტრალია და სამხრეთი აფრიკა ტრავმებმა გატანჯეს, რის გამოც ამათმა მენაკრებეთა რიცხვმა 30-ს უწია და გადააჭარბა.

ზელანდიის ამ ნაკრებს ყველგან აფასებენ. სამხრეთ აფრიკაში თითოეულ მოთამაშეს ხალხი, მეტადრე კი ზანგი მოსახლეობა, ჯგუფად დასდევდა. დურბანის მატჩის შემდგომ ლიანგურ ღრეობაზე შეზარხოშებული აფრიკანერები დამტვრეული ინგლისურით ხოტბას ასხამდნენ მათი ბიჭების მძლეველი გუნდის კაპიტანს, აქაოდა მაგ „ფითსის“ თამაშზე ვირევით, მაგრამ მაინც არ გვიყვარს ეგ კაცი. ისე კი, „ქურციკი“ რომ იყოს, მანდელაზე დიდი გმირი იქნებოდაო.

„ოლ ბლექსს“ საკადრისი პატივი მიაგო აფრიკელთა რაგბის მამამ, მილიონერმა ლუი ლეიტმაც, ვინაც საზოგადოდ დიდი უკმეხი ვინმეა. ამან ვაჟკაცურად აღიარა, მართალია, მსოფლიო თასი ჩვენ გვიპყრია, მაგრამ მსოფლიოს ჭეშმარიტი ჩემპიონი ახალი ზელანდიააო!

მოძღვარი ჯონ პართი





მელელოვე მცველი ქრისთიან ქალენი

33 წლის კვაჭი და კაპიტანი შონ ფითსპატრიქი

83 ტესტი, 44 კაპიტანად

### უკანა ხაზი

(13 კაცი; 26 ლელო)

15 ქრისთიან ქალენი (მანავატუ) ყველა თამაში; 9 ლელო
14 ჯეფ ვილსონი (ოთაგო) ყველა; 5ლ
13 ფრენკ ბანსი (ჩრდ. ნავსაყუდელი) ყველა; 1ლ
12 სქოთ მაკლეოდი (ვაიკატო) I და II თამაშები; 1ლ
ვოლტერ ლითლი (ჩრდ. ნავს) III - X; 1ლ
11 ჯონა ლომუ (ქაუნთიზი) I, II, IV - VI; 2ლ
ერიკ რაში (ჩრდ. ნავს) III, V (შეცვლაზე)
გლენ ოზბორნი (ჩრდ. ნავს) VII - X; 1ლ
ალამა იერემია (ველინგთონი) VII (შ), X (შ)
10 ენდრიუ მერთენსი (ქენთებრი) I - VII, X; 1ლ, 24გ, 23ს, 1ა
საიმონ ქლეინი (საუსლენდი) VIII - IX; 4გ, 3ს
ჯონ პერსტონი (ველინგთონი) IX (შ); 2ს
9 ჯასთინ მარშალი (ქენთებრი) ყველა; 5ლ

### მორკინალები

(12 კაცი; 14 ლელო, მათგან ერთი საჯარიმო)

1 კრეგ დაუდი (ოქლენდი) ყველა; 1ლ
2 შონ ფითსპატრიქი (ოქლენდი) ყველა; 1ლ
ნორმ პიუითი (საუსლენდი) IV (შ)
3 ოლო ბრაუნი (ოქლენდი) ყველა; 1ლ
4 იენ ჯოუნზი (ჩრდ. ნავს.) ყველა; 1ლ
5 რობინ ბრუქი (ოქლენდი) ყველა
ბლეარ ლარსენი (ჩრდ. ნავს.) IX (შ)
გლენ თეილორი X (შ)
6 მაიქლ ჯოუნზი (ოქლენდი) ყველა; 2ლ
7 ჯოშ კრონფელდი (ოთაგო) ყველა; 2ლ
ენდი ბლაუერსი (ოქლენდი) VII (შ), IX (შ)
8 ზინზან ბრუქი (ოქლენდი) ყველა; 5ლ, ა

### „ოლ ბლექსის“ წლევანდელი ტესტები

| | თარიღი | ქალაქი | ოლ ბლექსი | | | ლ | გ | ს | ა | მეტოქე | | | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | 7.06 | ნეიპირი | შ | 51 | (27) | 7 | 5 | 1 | 1 | მანუ სამოა | 10 | (10) | 1 | 1 | 1 | |
| II | 15.06 | დანიდინი | შ | 62 | (31) | 9 | 7 | 1 | | შოტლანდია | 31 | (19) | 3 | 2 | 3 | 1 |
| III | 22.06 | ოქლენდი | შ | 36 | (17) | 5 | 4 | 1 | | შოტლანდია | 12 | ( 7) | 2 | 1 | | |
| IV | 6.07 | ველინგთონი | შ | 43 | (25) | 6 | 2 | 3 | | ავსტრალია | 6 | ( 6) | | | 2 | |
| V | 20.07 | ქრაისთჩერჩი | შ | 15 | ( 6) | | | 5 | | სამხ. აფრიკა | 11 | ( 8) | 1 | | 2 | |
| VI | 27.07 | ბრისბენი | სტ | 32 | ( 9) | 2 | 2 | 6 | | ავსტრალია | 25 | (16) | 2 | | 5 | |
| VII | 10.08 | ქეიფთაუნი | სტ | 29 | ( 6) | 2 | 2 | 5 | | სამხ. აფრიკა | 18 | (15) | 2 | 1 | 2 | |
| VIII | 17.08 | დურბანი | სტ | 23 | (15) | 3 | 1 | 2 | | სამხ. აფრიკა | 19 | ( 9) | 1 | 1 | 4 | |
| IX | 24.08 | პრეტორია | სტ | 33 | (21) | 3 | 3 | 3 | 1 | სამხ. აფრიკა | 26 | (11) | 3 | 1 | 3 | |
| X | 31.08 | იოჰანესბურგი | სტ | 22 | (8) | 3 | 2 | 1 | | სამხ. აფრიკა | 32 | (16) | 3 | 1 | 5 | |
| სულ | | ᲗᲘ 10: მ 9, წ 1 | | 346 | | 40 | 28 | 28 | 2 | | 190 | | 18 | 8 | 27 | 1 |

# ავტორბოლა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1

XIV ეტაპი
იტალიის გრან-პრი

მონცა. 8 სექტემბერი

ტრასის სიგრძე 5 770 მ; დისტანცია: 53 წრე — 305,810 კმ

კვალიფიკაციის რეკორდი: სენა (მაკლარენ-ჰონდა, 1993) 1.21,144 (257,415 კმ-სთ). საუკეთესო წრე: ჰილი (უილიამს-რენო, 1994), 1.23,575 (249,193 კმ-სთ). გამარჯვებულის საუკეთესო შედეგი: ჰილი (უილიამს-რენო, 1993) 1:17.07,509 (239,144 კმ-სთ)

შარშანდელი შედეგები:

კვალიფიკაცია: კულჰარდი (უილიამს-რენო) 1.24,462 (245,395 კმ-სთ). საუკეთესო წრე: ბერგერი (ფერარი) 1.26,419 (236,322). გამარჯვებული: ჰერბერტი (ბენეტონ-რენო) 1:18.27,916 (233,820 კმ-სთ)

### გამარჯვებულები

იტალიის „დიდი პრიზი“ მსოფლიო ჩემპიონატების უცვლელი ნაწილია. მისი ძირითადი მასპინძელი „მონცას“ ავტოდრომია. მხოლოდ 1980 წელს შეენაცვლა მას „იმოლა“.

პირველ გათამაშებაში — 1950 წელს ჯუზეპე ფარინამ („ალფა-რომეო“) გაიმარჯვა. ყველაზე მეტი მოგება ნელსონ პიკეს (ბრაზილია) აქვს მოპოვებული: 1980 წელს „ბრებჰემ-ფორდით“, 1983 წელს — „ბრებჰემ-ბმვ“-ით, ხოლო 1986 და 1987 წლებში — „უილიამს-ჰონდათი“.

გუნდებიდან ჩემპიონთა-ჩემპიონი „ფერარია“. მისმა პილოტებმა ამ ტრასაზე 11-ჯერ გაიმარჯვეს, მაგრამ ბოლო ათწლეულში საუკეთესო შედეგი „უილიამსსა“ აქვს — ოთხი გრან-პრი.

### დასაბამი

„მონცას“ ტრასა 1920-იან წლებში აიგო მუსოლინის ბრძანებით. მას აქეთ ერთ-ერთი უსწრაფესია ევროპაში, თუმცკი რამდენჯერმე გადააკეთეს. შეიცვალა მისი სიგრძეცა და კონფიგურაციც: 10 000 მეტრიდან 5 770-მდე დაამოკლეს. გამარჯვებულის უმაღლესი სიჩქარე 5 800-მეტრიან ტრასაზე 242, 615 კმ-სთ-ია (1971, გეტინი).

### საგულისხმო ამბები

ამ ლეგენდარულ ტრასასთან ბევრი სასიხარულო და ტრაგიკული მომენტია დაკავშირებული.

1961 წელს იტალიის „დიდი პრიზის“ წინ ფონ ტრაპსი („ფერარი“) 4 ქულას უგებდა თანაგუნდელ ფილ ჰილს, მაგრამ უმძიმესი ავარია შეემთხვა და ჰილი ჩემპიონი გახდა. ტრაპსი მაყურებლებში შეიჭრა; დაღუპა 13 მოსეირე, თავადაც მოკვდა, 20 კაცი კი მძიმედ დაშავდა.

1970 წლის 5 სექტემბერი. დღესაც უცნობი მიზეზების გამო ავსტრიელი იოჰენ რინდტის „ლოტუსი“ ტრასიდან გადავიდა. პილოტი ოპერაციის დროს დაიღუპა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მაინც გახდა.

1978 წლის 10 სექტემბერი. უხეიროდ მიცემული სტარტის შედეგად მოხდა ავარია. ჰოსპიტალში დაიღუპა „ლოტუსის“ პილოტი რონი პეტერსონი, რომელიც ამ დროს თანაგუნდელ ანდრეტის ერთადერთი კონკურენტი იყო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში. ახლახანსღა გაირკვა, რომ პილოტის სიკვდილში ექიმთა არაპროფესიულ ქმედებასაც მიუძღვის ბრალი. ანდრეტი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1979 წელს სწორედ იტალიის „დიდი პრიზის“ გათამაშების შემდეგ დაიდგა ჩემპიონის გვირგვინი „ფერარის“ პილოტმა ჯოდი შექტერმა (სამხრეთ აფრიკა).

### ტრასის გავლა

როგორც აღვნიშნეთ, ტრასა ერთ-ერთი უსწრაფესია მსოფლიოში. პილოტები მას ასე გადიან:

სტარტის შემდეგ პირველ მოსახვევს 2 საფეხურით გაივლიან, 3-ზე გადადიან, ასე გაივლიან მარცხენა მოსახვევს („პრიმა ვარიანტე“) და 4-ს რთავენ. „კურვა გრანდეს“ გავლისას აჩქარდებიან 6-მდე და „სეკონდა ვარიანტეს“ წინ 2-ზე გადადიან, შემდეგ ნელ-ნელა აჩქარდებიან და „ლესმოში“ 4-ით შედიან და იქვე 5-საც რთავენ, „კურვა დელ სერალიოს“ გავლისას 6-ზე გადადიან, „ვარიანტ ასკარის“ წინ კი 3-მდე ამუხრუჭებენ.

ამ მოსახვევიდან გამოსვლისას 4-ს რთავენ და სწორზე 6-მდე აჩქარდებიან; მარჯვენა მოსახვევში („პარაბოლიკა“) შესვლისას ჯერ 4-ს, შემდეგ კი 3-ს რთავენ. მოსახვევიდან გამოსვლისას 4-ზე გადადიან და იქვე 5-საც მიაყოლებენ, ფინიშის სწორზე კი 6-ს რთავენ და მაქსიმალურ სიჩქარეს — 330 კმ-სთ და მეტსაც აღწევენ.

### მანქანის რეგულირება

ამ ტრასაზე, როგორც სხვა სწრაფ ავტოდრომებზე, წინა და უკანა „ფრთებს“ დაბალი კუთხით აყენებენ. სიჩქარეთა კოლოფი გრძელ დიაპაზონებად რეგულირდება (თუმც 7-სიჩქარიანი კოლოფების დიაპაზონები შედარებით მოკლეა). მუხრუჭები ჩვეულებრივია: 60-40 მშრალ ამინდში და პირიქით — წვიმაში.

### რას ველოდეთ

იტალიის „დიდი პრიზისათვის“ „ფერარი“ განსაკუთრებით ემზადება ხოლმე, თანაც წელს ბელგიაში გამარჯვებამ დიდი სტიმული მისცა იტალიელებს, მაგრამ „უილიამსელ“ მსოფლიო პირველობის ლიდერ დეიმონ ჰილსაც სჭირდება მოგება რამდენიმე ცუდად ჩატარებული ეტაპის შემდეგ. ეს გვაფიქრებინებს, რომ შეიძლე-




ბა ძველი მეტოქეების — მიხაელ შუმახერის („ფერარი“) და ჰილის ჰაექრობის მოწმენი შევიქნეთ. ჰილს ერთი გამარჯვებაღა უნდა ჩემპიონატში გასამარჯვებლად: ახლა მთავარია, სტარტზე კვლავ არ „ჩათელიმოს“. ერთი სიტყვით, ამ ერთხელაც ალბათ „მონცაზე“ გადაწყდება ჩემპიონის საკითხი.

ალეკო ჭაბუკიანი

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29